ივერიელი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი № 71 (10157) | პარასკევი, 25 მარტი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

## დ ღ ე ს ნ ო მ ე რ შ ი ა:

ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).
ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).
ახალგაზრდობის მთელი ძალები იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად (მე-2 გვერდი).
ა. ნინუა. — ოლდაექვსის სახელობისა (მე-2 გვერდი).
მეორადი ნედლეული — მრეწველობისათვის (მე-2 გვერდი).
ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო სირიის დესპანი... (მე-3 გვერდი).
საგაზეთო თემაზე. — ბავშვთა სწავლა-აღზრდის საკითხები საქალაქო გაზეთში (მე-2 გვერდი).
მეცხოველეობას საქმის ცოდნით არ ხელმძღვანელობენ (მე-3 გვერდი).
ა. კოკილაშვილი, ა. თომაძე. — იქ, სადაც ტრამალებია (მე-3 გვერდი).
მშობელთა აქტივის კრებაზე (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-3 და მე-4 გვერდი).

## სამეურნეო წარმატებათა საფუძველი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა საბრძოლო პროგრამა — მძიმე ინდუსტრიის განუხრელი განვითარების ბაზაზე უახლოეს ხუთ-ექვს წელიწადში მარცვლეულის საერთო წლიური მოსავალი გავზარდოთ სულ ცოტა 10 მილიარდ ფუთამდე, ხოლო მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების წარმოება გავადიდოთ ერთიორად და უფრო მეტად. ამ პროგრამის წარმატებით შესრულება პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს ახალი ამოცანების დონეზე აიყვანონ პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა.

პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა სამეურნეო წარმატებათა საფუძველია. პარტიულ ორგანიზაციებს მუდამ უნდა ახსოვდეთ დიდი ლენინის მითითება, რომ მასებს ყველაფერი შეუძლიათ, როცა მათ ყველაფერი იციან და ყველაფერს შეგნებულად აკეთებენ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა დაავალა პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს სისტემატურად გააუმჯობესონ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა სოფლად. მასებში კომუნისტების, კომკავშირელებისა და უპარტიო აგიტატორების მგზნებარე, მომწოდებელმა ხმამ უნდა გაუღვიძოს ადამიანებს მისწრაფება — იმუშაონ რაც შეიძლება უკეთ, განუვითაროს მათ შემოქმედებითი აქტივობა და თაოსნობა, ხელი შეუწყოს შრომის ორგანიზაციის შემდგომ გაუმჯობესებას და დისციპლინის განმტკიცებას, დასახული გეგმების შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებას.

ამჟამად მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის შინაარსს უწინარეს ყოვლისა უნდა შეადგენდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის გადაწყვეტილებების პროპაგანდა. პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა თვითეულ მშრომელს ღრმად განუმარტონ პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის გადაწყვეტილებების უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისა და აყვავების საქმეში.

რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც სათავეში უდგანან მასების ბრძოლას სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებების პრაქტიკულად განხორციელებისათვის, მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს პოლიტიკური მუშაობა მასებში. პარტიულმა ორგანიზაციებმა კიდევ უფრო განამტკიცეს თავიანთი კავშირი მასებთან საარჩევნო კამპანიის პერიოდში, როცა მოსახლეობაში ფართოდ გაიშალა საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა.

საარჩევნო კამპანიის მსვლელობაში პარტიულმა ორგანიზაციებმა მასებში პოლიტიკური მუშაობის დიდი გამოცდილება შეიძინეს. ასობით და ათასობით აგიტატორი საბჭოთა ადამიანებს აიარაღებდა მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ყოვლისმძლე იდეებით, მოუწოდებდა მათ ახალი შრომითი საგმირო საქმეებისაკენ. არჩევნებისათვის მზადების დღეებში აღიზარდნენ და დაწინაურდნენ ნიჭიერ აგიტატორთა და შესანიშნავ ორგანიზატორთა ახალი კადრები. ამოცანა ის არის, რომ მოფიქრებულად და უნარიანად გამოვიყენოთ პარტიულ-პოლიტიკური საქმიანობის ეს გამოცდილება, შემდგომ განვამტკიცოთ საგიტაციო-მასობრივი მუშაობის მიღწევები. უთუოდ სწორად მოიქცნენ ის პარტიული ორგანიზაციები, რომლებმაც არჩევნების ჩატარების მეორე დღესვე მიიღეს ზომები იმისათვის, რომ აგიტატორთა კადრებით განამტკიცონ ყოფილ საარჩევნო უბნებთან არსებული აგიტპუნქტები. მაგალითად, პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა დაამტკიცა სია აგიტპუნქტებისა, რომლებიც მუდმივად იმუშავებენ. აგიტპუნქტებში ეწყობა საინტერესო საუბრები, ლექციები და მოხსენებები.

მაგრამ ყველა პარტიული ორგანიზაცია როდი ზრუნავს საარჩევნო კამპანიის პერიოდში შეძენილი საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის გამოცდილების უნარიანად გამოყენებისათვის. საოლქო, საქალაქო და რაიონული პარტიული აქტივის ამას წინათ გამართულ კრებებზე აღინიშნა, რომ მთელ რიგ რაიონებში პოლიტიკური აგიტაცია, რაც მთავარია, მისი იდეური შინაარსი ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამორჩება ცხოვრების მოთხოვნებს. ბევრგან აგიტატორები სუსტად ეხმარებიან მასებს პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებების პრაქტიკულად განხორციელებისათვის ბრძოლაში, ყველა რეზერვისა და საშუალების გამოვლინებასა და გამოყენებაში.

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ძალაა მისი მაღალი იდეურობა, კონკრეტულობა და ქმედითობა, მისი მებრძოლი, შემტევი ხასიათი. ამისათვის კი საჭიროა, რომ პარტიული ორგანიზაციები ყოველდღიურად ხელმძღვანელობდნენ აგიტკოლექტივების მუშაობას, ღრმად სწვდებოდნენ პოლიტიკური აგიტაციის იდეურ შინაარსს, განუწყვეტლივ ზრუნავდნენ აგიტატორთა კადრების სწორად შერჩევისა და აღზრდისათვის. სამწუხაროდ, ასე როდი მუშაობს გუდაუთის რაიონის ბევრი პარტიული ორგანიზაცია. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ამ რაიონის სოფელ ზვანდრიფშის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია. აქ აგიტატორები ჯერ კიდევ არ შესდგომიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებების პროპაგანდას. 20 მარტისათვის კოლმეურნეობის კომუნისტებს კიდევ არ ჰქონდათ განხილული პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებები. ეს მაშინ, როცა ამ საკითხზე პარტიულ ორგანიზაციაში მომხსენებლად გამოყოფილია პარტიის გუდაუთის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ამხ. გ. ზუხბა.

ასევე არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული საგიტაციო-მასობრივი მუშაობა ამავე რაიონის სოფლების ჯირხვის, ბარმიშის კოლმეურნეობებისა და სხვა პარტიულ ორგანიზაციებში. მაგრამ პარტიის რაიონული კომიტეტი რატომღაც ვერ ამჩნევს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ამ სერიოზულ ნაკლოვანებებს. რაიონულ კომიტეტში დაავიწყდათ, რომ პარტიული აქტივის მოვალეობაა სისტემატურად გამოვიდეს პოლიტიკური მოხსენებებით მშრომელთა კრებებზე, ყოველდღიურად განამტკიცოს კავშირი მასებთან და გულისხმიერად გამოეხმაუროს მათს შენიშვნებს.

მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობის ამოცანა მოითხოვს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მწყემსებთან და პირუტყვის მომვლელებთან პოლიტიკურ მუშაობას. პარტიული და საბჭოთა მუშაკები უფრო ხშირად უნდა იმყოფებოდნენ მეცხოველეობის ფერმებში, საძოვრებზე. ფაქტები მოწმობენ, რომ ზნაურის რაიონის მეცხოველეობის ბევრ ფერმაში იშვიათად ეწყობა მოხსენებები, ლექციები და საუბრები. პირველადი პარტიული ორგანიზაციები, რაიონული კომიტეტი ჯეროვან ინსტრუქტაჟს არ უწევენ აგიტატორებს, კონკრეტულად არ ეხმარებიან მათ. ამიტომ ხშირად აგიტატორთა საუბრები არასაინტერესოა, ცხოვრებას მოწყვეტილია. პარტიის რაიონული კომიტეტი მოწინავე გამოცდილების ფართოდ გავრცელებისათვის სუსტად იყენებს მასებში პოლიტიკური მუშაობის ისეთ მძლავრ საშუალებებს, როგორიც არის რაიონული და ძირეული პრესა, კინო და რადიო.

პოლიტიკური მუშაობის ფართოდ გაჩაღება და მისი იდეური შინაარსის შემდგომი გაუმჯობესება ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანაა. აგიტატორები, პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან ახალი ძალით გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება, ხელი შეუწყონ მასების აქტივობისა და თაოსნობის განუხრელ ზრდას, რათა უზრუნველყონ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობა. საჭიროა აგიტატორი დროულად ამჩნევდეს ყოველივე ახალს, მოწინავეს, პროგრესულს. მთელ მის საქმიანობაში დიდი ადგილი უნდა ჰქონდეს დათმობილი მოწინავე გამოცდილების, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების პროპაგანდას.

პოლიტიკური აგიტაცია პარტიული მუშაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უბანი, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის მძლავრი საშუალებაა. პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა განუწყვეტლივ გააძლიერონ პოლიტიკური აგიტაცია, სრულყონ მისი შინაარსი და ფორმები, დარაზმონ მასები სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებების შესრულებისათვის საბრძოლველად.

## ქართულ ენაზე გამოიცა ნ. ა. ბულგანინის სიტყვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიაზე

სახელგამმა ქართულ ენაზე მასობრივი ტირაჟით გამოსცა ნ. ა. ბულგანინის სიტყვა, რომელიც მან წარმოთქვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიაზე 1955 წლის 9 თებერვალს. (საქდესი).

# ჩ ვ ე ნ ს დ ი ა დ ს ა მ შ ო ბ ლ ო შ ი

★ ★ ★



ბაშკირეთის ასსრ. უფაში მთავრდება არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების სატელევიზიო ცენტრის მშენებლობა. იგი მომსახურებას გაუწევს ქალაქების უფისა და ჩერნიკოვსკის მცხოვრებლებს, ხუთი მახლობელი რაიონის კოლმეურნეებს. სურათზე: რადიომოყვარული ინჟინერი ბ. პ. ფრიდმანი (მარცხნივ) და ელექტროტექნიკოსი პ. პ. აკატიევი ცდიან უფის სატელევიზიო ცენტრის გადამცემს.

ფოტო გ. ეფიმოვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

## ზემო ყარაბაღის არხის მშენებლობაზე

ბაქო, 22 მარტი. (საქდესი). რესპუბლიკის უდიდესი საირიგაციო მშენებლობის — ზემო ყარაბაღის არხის პირველი რიგი შევიდა ამუშავებისწინა პერიოდში. მტკვარარაქსწყალმშენის მთავარ სამმართველოში საქდესის კორესპონდენტს აცნობეს:

ზემო ყარაბაღის არხი პირველია იმ ოთხი მაგისტრალური არხიდან, რომლებითაც მინგეჩაურის ზღვის წყალი წავა მტკვარ-არაქსის ველზე და მორწყავს მილიონ ჰექტარზე მეტ მინდვრებს. ამ არხის პირველი რიგის მშენებლობა რთულ პირობებში მიმდინარეობდა. მინგეჩაურის წყალსაცავსა და არხის სათავო ნაწილს შორის მდებარეობს ბოზდაღის ქედის მასივი. მშენებლებს მოუხდათ კილომეტრზე მეტი სიგრძის გვირაბის გაყვანა მთაში. გვირაბი მოპირკეთებულია რკინაბეტონით. წყალსადენ გვირაბს შეუძლია წამში გაატაროს 113 კუბური მეტრი წყალი. გვირაბში შესასვლელი და გამოსასვლელი მოწყობილია რთული ფარებით. ამჟამად აქ მთავრდება მოპირკეთების უკანასკნელი სამუშაოები.

ტრასა გადაჭრილია მდინარეთა კალაპოტებით. ამ ადგილებში აგებულია დიუკერები, აკვედუკები და სხვა საინჟინრო ნაგებობანი. სულ არის 70-ზე მეტი ნაგებობა — წყალგასაშვები, გადამღობი და გადამგდები მოწყობილობა, ღვარსაშვები, ხიდი. ამჟამად მშენებლები ამზადებენ ბლოკის კონსტრუქციებს სარწყავ ქსელში წყალგასაშვებთა მოსაწყობად.

ზემო ყარაბაღის არხი დიდი ჰიდროტექნიკური ნაგებობაა. მის ტრასზე უკვე შესრულებულია 12 მილიონამდე კუბური მეტრი მიწის სამუშაოები. არხის პირველი რიგი, რომლის სიგრძეა 80 კილომეტრი, უზრუნველყოფს მეზობელი ორი დიდი რაიონის — ევლახისა და ბარდის რაიონების მინდვრების მორწყვას. გარდა ამისა წყლის ნაწილს მიაწვდის მდინარე ტერტერჩაის, რომელიც ძალიან კლებულობს ზაფხულის თვეებში, როცა წყალი განსაკუთრებით საჭიროება მორწყვა.

## რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

23 მარტს კრემლში მუშაობა დაიწყო რუსეთის სფსრ მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველმა სესიამ. იგი შეიკრიბა უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რომელიც ჩვენს ქვეყანაში გამოწვეულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებით, რომელმაც დასახა სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი აღმავლობის დიადი პროგრამა.

კრემლის დიდი სასახლის სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ დეპუტატები — რუსეთის ფედერაციის ხალხთა რჩეულნი, მრავალი სტუმარი, მათ შორის არიან მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, პარტიული და საბჭოთა მუშაკები. სხდომას ესწრებიან მოსკოვში აკრედიტებულ მთელ რიგ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, საბჭოთა და უცხოელი კორესპონდენტები.

ნაშუადღევის 4 საათია. მთავრობის ლოჟებში შემოდიან ამხანაგები **ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, პ. ნ. პოსპელოვი, მ. ა. სუსლოვი.** დეპუტატები და სტუმრები მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან მათ. ყველანი ფეხზე დგებიან.

სესია მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა ერთ-ერთმა უხუცესმა დეპუტატმა აკადემიკოსმა **კ. მ. ბიკოვმა.**

დეპუტატმა **ნ. ი. ბელიაევმა** უხუცესთა საბჭოს სახელით შეიტანა წინადადება რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნას დეპუტატი **ი. ვ. გოროშკინი** — საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი. სესიამ ერთხმად მიიღო ეს წინადადება.

სხდომა გრძელდება ი. ვ. გოროშკინის თავმჯდომარეობით. აირჩიეს რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის რვა მოადგილე. სესიამ დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი:

1. უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის არჩევნები
2. უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების არჩევა
3. რუსეთის სფსრ 1955 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება.
4. რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება
5. რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის არჩევა
6. რუსეთის სფსრ მთავრობის — მინისტრთა საბჭოს შედგენა.

სესია ერთხმად ირჩევს სამანდატო კომისიას 15 წევრისაგან, კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია დეპუტატი **ნ. ფ. იგნატოვი.**

შემდეგ ირჩევენ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებს. ესენია საკანონმდებლო განზრახულობათა კომისია, რომელიც 15 კაცისაგან შედგება, თავმჯდომარე — დეპუტატი **დ. ა. პოლიკარპოვი;** საბიუჯეტო კომისია 19 კაცისაგან, თავმჯდომარე — დეპუტატი **ნ. ი. ბობროვნიკოვი;** საგარეო საქმეთა კომისია 11 კაცის შემადგენლობით, თავმჯდომარე — დეპუტატი **ა. ბ. არისტოვი.**

მუდმივი კომისიების არჩევის შემდეგ რუსეთის სფსრ 1955 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენება გააკეთა რუსეთის სფსრ ფინანსთა მინისტრმა **ი. ი. ფადეევმა.** (საქდესი).



ლატვიის სს რესპუბლიკა. რესპუბლიკის კოლმეურნეობების გეგმების მიხედვით წელს სიმინდი უნდა დაითესოს 100.000 ჰექტარზე. მიმდინარეობს სათესლე მასალის მომზადება. რიგის თესლსაწმენდი ფაბრიკა ასუფთავებს, აშრობს და ახარისხებს სათესლე სიმინდს, რომელიც მიღებულია მოლდავეთის სს რესპუბლიკიდან. სურათზე: ლაბორატორიის გამგე მ. სმირნოვა (მარჯვნივ) და აგრონომი ა. მარჩენკო არკვევენ გაშრობის შემდეგ სათესლე სიმინდის ტენიანობას.

ფოტო ე. იასენოვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

## ყ ა მ ი რ ზ ე

50.000-ზე მეტი მოხალისე გაემგზავრა კომკავშირული საგზურებით ყაზახეთისა და ციმბირის ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად.

კომკავშირის წარგზავნილთ გულითადად ხვდებიან ადგილობრივი მცხოვრებნი. ურალსკში ჩავიდა დაახლოებით ათასი ვოროშილოვგრადელი მოხალისე, პავლოდარში გულთბილად შეხვდნენ დნეპროპეტროვსკის ოლქის ქალიშვილებსა და ჭაბუკებს. კუიბიშევისა და ულიანოვსკის ახალგაზრდათა რაზმები ჩავიდნენ ჩკალოვის ოლქში. შორეულ აღმოსავლეთში ზეიმით შეხვდნენ სვერდლოვსკის, კუიბიშევის, კალუგის წარგზავნილთ.

ახალი მიწების ასათვისებლად ეშელონებით მიდიან ენთუზიასტები აღმოსავლეთისაკენ. ყაზახეთის, ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში წავიდნენ ახალგაზრდობის ახალი რაზმები სომხეთის, ესტონეთის სს რესპუბლიკებიდან, ჩრდილოეთ ოსეთის, მორდვეთის, ყაბარდოს და მარის ასს რესპუბლიკებიდან, როსტოვის, ნოვგოროდის, გროზნოს ოლქებიდან, ნოვოროსიისკიდან, სტანისლავიდან, შჩერბაკოვიდან, კამენსკ-ურალსკიდან და სხვა ქალაქებიდან. (საქდესი).

## თათბირი სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის საკითხებზე

23 მარტს მოსკოვში გაიხსნა თათბირი სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის საკითხებზე. თათბირი მოიწვიეს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ, სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტრომ და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ. თათბირის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ მრავალი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულება, სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებელი, ჩვენი ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო ორგანოების წარმომადგენლები.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ამხ. ვ. ვ. მაცკევიჩმა გააკეთა მოხსენება, რომელიც მიეძღვნა სოფლის მეურნეობის დაგეგმვის ახალ პრაქტიკას და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდების ამოცანებს, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სწორ განაწილებას სსრ კავშირის ეკონომიურ და ბუნებრივ-გეოგრაფიულ ზონებში.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ რაიონებში სოფლის მეურნეობის განაწილების პერსპექტივებისადმი მიძღვნილი თანამოხსენებები წაიკითხეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საწარმოო ძალების შესწავლის საკითხთა საბჭოს თავმჯდომარემ აკადემიკოსმა ვ. ს. ნემჩინოვმა, მემცენარეობის საკავშირო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ პროფესორმა ი. ა. სიზოვმა, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა ე. ს. კარნაუხოვამ (სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი), პროფესორმა ლ. მ. ზალცმანმა (მეცხოველეობის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი).

თათბირი გრძელდება. (საქდესი).

## შემთხვევა ზღვაში

იუჟნო-სახალინსკი, 23 მარტი. (საქდესი). ახალგაზრდა მეზადური შინ ბრუნდებოდა დაბა ავნევოდან. იგი თათრის სრუტის სანაპიროს ყინულს მიჰყვებოდა. უეცრად ამოვარდა აღმოსავლეთის ძლიერი ქარი. ყინული, რომელზეც ჭაბუკი იყო, მოწყდა ნაპირს. ყინულმა ჭაბუკი ზღვაში გაიტაცა. ეს შეამჩნიეს და ალექსანდროვსკში შეატყობინეს. ჰაერში აფრინდა თვითმფრინავი. დიდხანს და უშედეგოდ ეძებდნენ დაზარალებული მფრინავმა ევგენი კრასოვსკიმ და შტურმანმა ნიკოლოზ გუბოროვმა. თვითმფრინავი 50 მეტრ სიმაღლემდე დაეშვა, და მაშინ მფრინავებმა შეამჩნიეს შავი წერტილი ყინულზე.

ნამდვილი გმირობა იყო საჭირო, რომ ზღვაში დაშვებულიყვნენ პატარა ყინულზე და იქიდან კვლავ აფრენილიყვნენ. მფრინავმა კრასოვსკიმ ეს ბრწყინვალედ შეასრულა. გადარჩენილი მიიყვანეს აეროდრომზე, სადაც საექიმო დახმარება აღმოუჩინეს.

## რუსეთის სფსრ სოფლების კინოფიკაცია

ორასზე მეტი ახალი კინოდანადგარი მიიღეს წელს რუსეთის ფედერაციის სასოფლო რაიონებმა.

წლის ბოლომდე რუსეთის სფსრ სოფლებში ამუშავდება 1.300 კინოდანადგარი; მათი რიცხვი გადიდდება 26 ათასამდე. დიდი ყურადღება ექცევა ახალმოსახლეთა კინომომსახურებას, რომლებიც ციმბირსა და ალტაიში მუშაობენ ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად.

(საქდესი).

# ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით იმ პირთა დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ელექტროგადაცემის მაღალვოლტიანი ხაზის მშენებლობის სამუშაოებზე

ელექტროგადაცემის მაღალვოლტიანი ხაზის მშენებლობის სამუშაოთა წარმატებით შესრულებისათვის დაჯილდოებულ იქნან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. ალაგარდოვი გიორგი ასლანის-ძე — ავტომანქანის მძღოლი.
2. ბაბალოვი რაფიელ მოსეს-ძე — სარემონტო-მექანიკური ქარხნის საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსი.
3. ბელიაშვილი ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე — მაღალვოლტიანი ქსელის სამშენებლო სამმართველოს უფროსი.
4. ბენაშვილი დიმიტრი ქიტესას-ძე — უბნის უფროსი.
5. ბესტაევი ფილიპე ვასილის-ძე — მუშა-მემონტაჟე.
6. ბოგლაროვი ნიკოლოზ თევდორეს-ძე — მუშა-მემონტაჟე.
7. ბოხუა ამბერკი ვიქტორის-ძე — უბნის უფროსი.
8. გაზაევი ალექსანდრე ზაქარიას-ძე — მუშა-მემონტაჟე.
9. გალუსტაშვილი შოთა იოსების-ძე — მემონტაჟეთა ბრიგადირი.
10. გვალია ნიკოლოზ იორდანეს-ძე — მუშა-მშენებელი.
11. გინდინი არონ მარკის-ძე — ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის" მთავარი ინჟინერი.
12. გოგელია გიორგი ფილიპეს-ძე — „საქენერგოპროექტის" მთავარი ენერგეტიკოსი.
13. გოგლიჩიძე უშანგი ილიას-ძე — მემონტაჟეთა ბრიგადირი.
14. გოგუაძე ლევან არსენის-ძე — სამონტაჟო სამუშაოთა უფროსი მწარმოებელი.
15. ებრალიძე რაჟდენ სილოვანის-ძე — „საქენერგოპროექტის" მთავარი ინჟინერი.
16. ერისთავი ვლადიმერ კლიმენტის-ძე — სამასალო-ტექნიკური მომარაგების განყოფილების უფროსი.
17. ზავალიშინი ნიკოლოზ ივანეს-ძე—ტრაქტორისტი.
18. თაქნიაშვილი ილია ალექსის-ძე — მუშა-მშენებელი.
19. თაქთაქიშვილი ილია ვასილის-ძე — მემონტაჟეთა ბრიგადირი.
20. იარალოვი ემანუილ ქრისტეფორეს-ძე — სამონტაჟო სამუშაოთა უფროსი მწარმოებელი.
21. კავკასიძე სერგი კონსტანტინეს-ძე — ტრესტის მთავარი ინჟინრის მოადგილე.
22. კაზეევა ევგენია ივანეს ასული — უფროსი ინჟინერი.
23. კამიშინი ვასილ ივანეს-ძე — მემონტაჟეთა ბრიგადირი.
24. კარასევი ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე — „მთავარჰიდროენერგომშენის" მოწყობილობის განყოფილების უფროსი.
25. ლომსაძე გრიგოლ იოსების-ძე — მემონტაჟეთა ბრიგადირი.
26. მამულია ბესარიონ დიმიტრის-ძე — სატრანსპორტო სამმართველოს უფროსი.
27. მარქელოვი ლეონიდე ნიკოლოზის-ძე — მემონტაჟეთა ბრიგადირი.
28. მელიქ-ფარსადანოვი არტავაზდ სოლომონის-ძე — ტრესტის ელექტროსამონტაჟო განყოფილების უფროსის მოადგილე.
29. ნარსია შალვა ეგნატეს-ძე — მაღალვოლტიანი ქსელის სამშენებლო სამმართველოს მთავარი ინჟინერი.
30. ნიკულინი პეტრე დიმიტრის-ძე მემონტაჟეთა ბრიგადირი.
31. ოგანოვი არშაკ ალექსის-ძე — მუშა-მშენებელი.
32. რატიანი ვასილ ნესტორის-ძე — ავტომანქანის მძღოლი.
33. სავინოვი ნიკოლოზ ზაქარიას-ძე — სამონტაჟო სამუშაოთა უფროსი მწარმოებელი.
34. სარქისოვი ერვანდ მინას-ძე — საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსი.
35. სტამბოლი მიხეილ ვლადიმერის-ძე — ტრესტის სამასალო-ტექნიკური მომარაგების კანტორის უფროსი.
36. ტესტი მათე ისაკის-ძე — „მთავარჰიდროენერგომშენის" საწარმოო განყოფილების უფროსის მოადგილე.
37. ქუთათელაძე გივი კონსტანტინეს-ძე — სამონტაჟო სამუშაოთა უფროსი მწარმოებელი.
38. ქუტიევი შაქირჯან გუსეინის-ძე — სამონტაჟო სამუშაოთა ხელოსანი.
39. შამანიდი კონსტანტინე ივანეს-ძე — ლითონის კონსტრუქციის საამქროს ხელოსანი.
40. ჩხეიძე დავით ნესტორის-ძე — „საქენერგოს" მმართველი.
41. ცინცაძე სევერიანე კალენიკეს-ძე — „საქენერგოს" კავშირგაბმულობის სამსახურის ჯგუფის ხელმძღვანელი.
42. წამალაშვილი ნიკოლოზ არტემის-ძე — სამონტაჟო სამუშაოთა მწარმოებელი.
43. ჭანკოტაძე ვახტანგ ლავრენტის-ძე — ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის" მმართველი.
44. ხითაროვი გარნიკ ეგნატეს-ძე — ავტომანქანის მძღოლი.
45. ხითარიშვილი სოლომონ ალეოზის-ძე — სარემონტო-მექანიკური ქარხნის დირექტორი.
46. ჯანელიძე პორფილე ზაქარიას-ძე — ავტომანქანის მძღოლი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**
ქ. თბილისი. 1955 წლის 23 მარტი.

# მეცხოველეობას საქმის ცოდნით არ ხელმძღვანელობენ

კომუნისტ ს. ყულიჯანაშვილს საპატიო მოვალეობა დააკისრეს. სოფელ უდის (ადიგენის რაიონი) რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის გამგედ დანიშნეს. განვლო დრომ. მან გული აიცრუა მუშაობაზე. იანვრის ბოლო რიცხვებში გაემგზავრა საკუთარი ვაშლის სარეალიზაციოდ.

ფერმაში ცუდი მდგომარეობაა. მოუმზადებელი შეხვდნენ დოლს. ცხვარი მოკლებულია მოვლა-პატრონობას. სადგომებისათვის დეზინფექცია არ გაუკეთებიათ, დოლის პერიოდისათვის დამატებით გამოყოფილი არ არიან მწყემსები, მოუმარაგებელია საჭირო ინვენტარი, ფერმაში უსუფთაობაა.

ასეთივე მდგომარეობაა მეძროხეობის ფერმაში. ნამატის მიღების დღეებში ძროხას მზრუნველი ხელი აკლია. ბოსლიდან იშვიათად გააქვთ ნაკელი. ეს კი პირუტყვის დაავადების პირობებს ქმნის. დაუცველია მეძეული პირუტყვის კვების რაციონი.

ამ ფერმაში წველადობის დაბალი დონე პირუტყვის ცუდი მოვლის შედეგია. გასულ წელს ფერმაში დაწუნებული ძროხა კოლმეურნე პ. ეფრემაშვილს გადასცეს. მან ძროხას კარგად მოუარა. ახლა ეს ძროხა დღეში 5 ლიტრ რძეს იძლევა, — გაცილებით მეტს, ვიდრე ფერმის ძროხები.

საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია, რომლის რიგებში 58 კომუნისტია, ამჟამად არავითარ მუშაობას არ ეწევა პირუტყვის მოვლა-პატრონობის გასაძლიერებლად. იანვარ-თებერვალში წასული 32 კომუნისტი ახლაც რესპუბლიკის გარეთ იმყოფება. მათ შორის არიან ფერმაში მომუშავე კომუნისტები ე. ბალდოშვილი, ს. ბალდოშვილი, პ. ბალახაშვილი და სხვები. ნაწილი თვითნებურად არის წასული.

პარტბიუროს მდივანმა ამხ. ს. ალლემაშვილმა განიზრახა ერთ-ერთ კრებაზე განეხილა პირუტყვის გამოზამთრების საკითხი, მაგრამ ფერმის მუშაკები ადგილზე არ აღმოჩნდნენ. მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტების მცირე ნაწილი იყო, კრება მაინც შედგა. წესდების დარღვევით მოწვეულ კრებაზე განიხილეს ორი მნიშვნელოვანი საკითხი: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმისა და ადიგენის რაიონული პარტიული კონფერენციის შედეგები.

ამას წინათ უდელმა მეცხოველეებმა გულისტკივილით გვითხრეს, დიდად გვაინტერესებს პარტიისა და მთავრობის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა გაცნობა, მაგრამ ამას მოკლებული ვართ, საუბრისათვის არავინ მოდისო. კოლმეურნეებმა შემოგვჩივლეს, რომ მათ გაზეთებს დროზე არ აწვდიან.

როგორც უდეში, ისე ბოლაჯაურშიც საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია გვერდს უვლის მეცხოველეობის არსებით საკითხებს. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ 8 თვის განმავლობაში კრებაზე არ განხილულა ისეთი საკითხი, რომელიც შეეხებოდა მეცხოველეობის განვითარებას და მისი პროდუქტიულობის ამაღლებას.

სუსტია მტს-ის სპეციალისტთა დახმარება ფერმისადმი. ვეტექიმმა ზ. ღვინჯილიამ თვითნებურად მიატოვა ფერმა და სხვაგან წავიდა.

ეს და სხვა მტკივნეული საკითხები არ დგას პარტორგანიზაციის ყურადღების ცენტრში.

ბოლაჯაურის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობის ამაღლებით არც პარტიის ადიგენის რაიკომია დაინტერესებული. რაიკომის მუშაკთა „დახმარება“ მხოლოდ სოფელში ჩასვლით და უკან დაბრუნებით ამოიწურება.

პარტიული კრების ჩასატარებლად ბოლაჯაურში ჩავიდა რაიკომის ინსტრუქტორი ამხ. გ. ტაბატაძე. დღის წესრიგში იდგა საკითხი — „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის შედეგების შესახებ“. ამ კრების ოქმში ჩაწერილია შემდეგი სიტყვები: „მომხსენებელმა პარტიულ კრებას გააცნო იანვრის პლენუმის შედეგები მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდისა და განვითარების შესახებ“(!).

კრებაზე სიტყვით არავინ გამოსულა და არც დადგენილება მიუღიათ.

მეცხოველეობისადმი ხელმძღვანელობის დაბალ დონეზე მეტყველებს აგრეთვე სოფელ წახნის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მუშაობის მაგალითი. აქ 1954 წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ ჰქონდათ მსჯელობა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მოვლა-პატრონობაზე.

პარტორგანიზაციის მდივანს ამხ. გ. კანდელაკს მუშაობის ნორმალური პირობები არა აქვს. ცეცხლგამძლე ყუთის უქონლობის გამო პარტდოკუმენტებს თავის ოჯახში ინახავს.

საკოლმეურნეო პარტორგანიზაციების უყურადღებობით უნდა აიხსნას ის ჩამორჩენა, რასაც ვხვდებით ადიგენის რაიონში მეცხოველეობის განვითარებისა და მისი პროდუქტიულობის ამაღლების საქმეში.

როგორც ამ ფაქტებიდან ჩანს, პარტიის რაიკომი სერიოზულად არ ცდილობს აამაღლოს პირველადი პარტიული ორგანიზაციების მიერ საზოგადოებრივი მეცხოველეობისადმი ხელმძღვანელობის დონე. აქედან საჭირო დასკვნები უნდა გააკეთოს პარტიის ადიგენის რაიკომმა და მიაღწიოს პირველადი პარტორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის განმტკიცებას.

**ე. ხარებავა,**
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

## ბოსტნეულის თესვა მანქანით

მცხეთა. (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებში მნიშვნელოვნად იზრდება მექანიზაციის დონე. მცხეთის მანქანა-ტრაქტორთა სადგური წელს პირველად ახორციელებს ბოსტნეულის თესვას მანქანით. ამ საქმეზე გამოყენებულია ბოსტნეული კულტურების სპეციალური სათესი მანქანა „სონ-2,8“, რომელიც მოწყობილია „ხტზ-7“ მარკის ტრაქტორზე.

ეს მანქანა დღეში 6 ჰექტარზე თესავს ბოსტნეულს და ცვლის 80-90 მუშას. სოფლების წილკნის, მისაქციელის, მუხრანის კოლმეურნეობებში მანქანით ხახვი უკვე დათესილია 21 ჰექტარზე. წელს მტს-ი მანქანით დათესავს აგრეთვე სტაფილოსა და სუფრის ჭარხალს.



ბოლნისის რაიონის სოფელ წითელი სოფლის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის სარძეო-სასაქონლო ფერმა. სურათზე: ფერმის მოწინავე მწველავი ამხ. ა. იმნაძე ხელზე კვებავს ხბოებს.

ფოტო კ. უზნაძისა.

## აღმოვფხვრათ ჯიშიანი მეთესლეობისადმი უყურადღებობა

დიდი როლი აკისრიათ ბოსტნეულისა და საკვებ ძირნაყოფთა წარმოების მეთესლეობის კოლმეურნეობებს მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნაში, რაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებს ერთ-ერთ საბრძოლო ამოცანად დაუსახა.

ჩვენი რესპუბლიკის მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა უკვე გადადგეს პრაქტიკული ნაბიჯები ამ ამოცანის შესასრულებლად. თელავის რაიონის სოფელ ახურის კოლმეურნეობა „მოწინავეში“ და იყალთოს რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში ყველაფერი გააკეთეს საკვები ძირნაყოფებისა და საკვებ-ბაღჩეული კულტურების თესლის მომარაგებისათვის. საკვები ჭარხლის გადარგვის გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს ამავე რაიონის სოფელ კურდღელაურის ენგელსის სახელობის, სოფელ ვარდისუბნის ორჯონიკიძის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებმა.

მაგრამ არის გამონაკლისი შემთხვევებიც. ზოგიერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარე გულგრილად ეკიდება ბოსტნეულისა და საკვები ძირნაყოფების მეთესლეობას. მაგალითად, თელავის რაიონის სოფელ ჯუღაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ამხ. ნ. ქოჩიშვილი) 1953 წელს გაზაფხულზე დასარგავად უნდა გამოეზამთრებინა სამი ჰექტარი საკვები ჭარხალი. კოლმეურნეობამ ეს დავალება შეასრულა, მაგრამ... სწორედ გაზაფხულზე აქ უპატრონობით პირუტყვს შეაჭამეს სარგავი მასალის 2/3. ამ მიზეზით კოლმეურნეობამ შარშან ვერ შეასრულა ჭარხლის თესლის დამზადების დავალება.

საფიქრებელი იყო, რომ ეს ფაქტი გაკვეთილი იქნებოდა აღნიშნული კოლმეურნეობისა და მისი თავმჯდომარის ამხ. ქოჩიშვილისათვის. მაგრამ ასე არ მოხდა. შარშანდელი მაგალითი აქ წელსაც მეორდება. მართალია, კოლმეურნეობაში დასარგავად გამოაზამთრეს 3 ჰექტარის მასალა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ გადარგვის ვადები იწურება, კოლმეურნეობაში უარს აცხადებენ გეგმიანი დავალების შესრულებაზე — ფიქრობენ 3 ჰექტარის ნაცვლად ჭარხალი დარგონ მხოლოდ ერთ ჰექტარზე.

ასეთივე მდგომარეობაა გურჯაანის რაიონის ჭანდრისა და ვეჯინის ლენინის სახელობის კოლმეურნეობებში.

როდის მოეღება ბოლო აღნიშნულ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელების ასეთ უდარდელ დამოკიდებულებას ჯიშიანი მეთესლეობისადმი?

**ი. ოვჩარენკო,**
„საქბოსტანჯიშთესლის“ თელავის სარაიონთაშორისო კანტორის მმართველი.

# მშობელთა აქტივის კრებაზე

ამ დღეებში გაიმართა თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მოსწავლეთა მშობლების აქტივის კრება. იგი მიეძღვნა ოჯახური აღზრდის საქმეში მშობლების პასუხისმგებლობის შემდგომი გაძლიერების ღონისძიებათა საკითხს. მოხსენება გააკეთა პარტიის რაიკომის მდივანმა ამხ. ე. ღლონტმა.

როგორც მომხსენებელმა, ისე კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა აღზრდის საქმეში საბჭოთა სკოლასთან ერთად უდიდესი მოვალეობა ეკისრებათ მშობლებს. ისინი მოწოდებული არიან სკოლის კოლექტივთან ერთად იმუშაონ ჩვენი მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდისათვის.

რაიონში ცოტა როდი არიან ისეთი მშობლები, რომლებიც პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდებიან თავიანთი შვილების აღზრდის საქმეს. 55-ე საშუალო სკოლაში სწავლობს რუსუდან კავილაძე. მისი მამა — კომუნისტი იაკობ კავილაძე სისტემატურად ადევნებს თვალყურს ბავშვის სწავლასა და ყოფაქცევას, კვირაში ერთხელ ესაუბრება მასწავლებლებს. დედაც ასეთივე ინტერესით ეკიდება ბავშვის საქმიანობას. ასეთ მზრუნველობას კარგი შედეგი მოაქვს. მოსწავლე წესიერი და ხუთოსანია. 58-ე საშუალო სკოლაში სწავლობენ და-ძმა ირინე და ვანო გაჩიჩილაძეები. მათი მშობლები სკოლის ხშირი სტუმრები არიან, სასარგებლო რჩევა-დარიგებას აძლევენ არა მარტო თავიანთ შვილებს, არამედ მათს ამხანაგებსაც.

დასახელებულ იქნენ აგრეთვე მოსწავლეების ირინე ალავიძის, ომარ მანჯგალაძის, იური ჯაიანის, გივი გიორგობიანის, თემურ ლოლაძის, ევგენია კაზარიანის და სხვათა მშობლები, რომლებიც ყოველდღიურად ზრუნავენ თავიანთი შვილების სწორი აღზრდისათვის.

აქტივის კრებაზე ამასთან აღინიშნა სერიოზული ნაკლოვანებანი ბავშვთა აღზრდის საქმეში. ამ უკანასკნელ ხანს ერთგვარად შესუსტდა მშობელთა გავლენა ბავშვებზე. ამის გამო გახშირდა მოსწავლეების მიერ დისციპლინის უხეში დარღვევის შემთხვევები სკოლასა და საზოგადოებრივ ადგილებში. 50-ე საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე ამირან სვიმონიშვილი უდისციპლინოა, მესამე მეოთხედის შედეგებში 5 ორიანი აქვს, ეჩხუბება თანაკლასელებს, უხეშად მიმართავს პედაგოგებს. მისი მამა შალვა მიხეილის-ძე სვიმონიშვილი მექანიკური საცხობის დირექტორად მუშაობს. სკოლის დირექციამ საცხობის პარტიულ ორგანიზაციას აცნობა ეს მდგომარეობა, მაგრამ სათანადო ზომები არ მიიღეს იმიტომ, რომ ამხ. სვიმონიშვილი დირექტორია.

იმავე სკოლის მე-9 კლასში სწავლობს გ. ამირხანოვი, რომელიც უხეშობს, გაკვეთილებს არ ამზადებს, 5 ორიანი აქვს. იგი შემჩნეული იყო ავტომატური კალმების მოპარვაშიც კი. მისი მამა სურენ ამირხანოვი საბურთალოზე აშენებს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ახალ შენობას, ხოლო თავისი ბავშვის ბედით ნაკლებად არის დაინტერესებული.

მოკამათეებმა — 55-ე საშუალო სკოლის მოსწავლის მშობელმა ნ. მაჭავარიანმა, 49-ე სკოლის დირექტორმა დ. ფირცხალავამ, 52-ე სკოლის მოსწავლის მშობელმა კ. ნაჭყებიამ, 58-ე სკოლის მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ბურდიაშვილმა, მილიციის მე-19 განყოფილების უფროსმა ზ. დუჩიძემ, 63-ე სკოლის მოსწავლის მშობელმა ზახაროვამ ილაპარაკეს მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის მნიშვნელოვან საკითხებზე. რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგემ ნ. მჭედლიშვილმა აღნიშნა აღმაშფოთებელი ფაქტი: 64-ე სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე შულგინა მშობლების რჩევით ეკლესიაში დადის რელიგიური წესების შესასრულებლად. ასეთი საქციელი დასაგმობი და გასაკიცხავია და, ცხადია, სრულიად არ შეესაბამება საბჭოთა სკოლაში და საბჭოთა ოჯახში დამკვიდრებულ აღზრდის პრინციპებს.

სკოლებს ყოველმხრივ დახმარებას უნდა უწევდნენ მშობელთა კომიტეტები. ამ მხრივ გამოირჩევა 50-ე საშუალო სკოლის მშობელთა კომიტეტი, რომლის თავმჯდომარეა ა. კოროლიოვა. კომიტეტს შემოღებული აქვს მორიგეობა სკოლაში, აქტიურად მონაწილეობს სკოლის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებში (საღამოებში, კონცერტებში, ექსკურსიებში და სხვ.). მას მჭიდრო კავშირი აქვს უდისციპლინო და სუსტი მოსწავლეების მშობლებთან. ასევე ნაყოფიერად მუშაობენ 51-ე, 52-ე, 55-ე, 58-ე და 48-ე სკოლების მშობელთა კომიტეტები.

პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა სახალხო განათლების ორგანოებთან ერთად უნდა მიაღწიონ იმას, რომ მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის სისტემატური, შეუნელებელი ზრუნვის და ყურადღების საგნად გადაიქცეს მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმე. მშობელთა შორის მუშაობა კიდევ უფრო უნდა გააძლიერონ სახალხო განათლების ხელმძღვანელმა ორგანოებმა, აგრეთვე პედაგოგიკურ მეცნიერებათა და ფსიქოლოგიის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტებმა, პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელმა საზოგადოებამ.

აქტივის კრებამ დასახა სათანადო ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ბავშვთა აღზრდის საქმის შემდგომ გაუმჯობესებას, სკოლასა და ოჯახს შორის კავშირის განმტკიცებას.

## „კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„კომუნისტის“ 21 იანვრის ნომერში დაიბეჭდა წერილი სათაურით „მეცხოველეობის განვითარებისათვის არსებულ შესაძლებლობებს არ იყენებენ“, რომელშიც გაკრიტიკებული იყვნენ ბორჯომის რაიონის მთელი რიგი კოლმეურნეობები, აღნიშნული იყო გეგმების შეუსრულებლობა, შრომის დისციპლინის დარღვევა და სხვა ნაკლოვანებანი.

საქართველოს კომპარტიის ბორჯომის რაიკომის მდივანი ამხ. ჯ. ლომაშვილი რედაქციას ატყობინებს, რომ წერილი განიხილა რაიკომის ბიურომ, რომელმაც გაზეთის კრიტიკა სწორად ცნო. ბიურომ დაავალა კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს და საკოლმეურნეო პირველადი პარტორგანიზაციების მდივნებს სასწრაფოდ გამოასწორონ ნაკლოვანებანი. სოფელ საკირის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე გ. გოგოლაძე სუსტი მუშაობისათვის კოლმეურნეთა საერთო კრებამ სამუშაოდან მოხსნა და საქმე გადასცა რაიპროკურატურას. თ. ბახტაძე განთავისუფლებულია პირველადი პარტორგანიზაციის მდივნობიდან პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის სუსტად დაყენებისათვის.

# ვ. მ. მოლოტოვის მიერ სირიის დესპანის მიღება

23 მარტს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო სირიის საგანგებო დესპანი და სრულუფლებიანი მინისტრი სსრ კავშირში ბ-ნი ფარიდ ხანი. (საკდესი).

## მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვება ჩინეთში

პეკინი, 23 მარტი. (საკდესი). ჩინეთის 25-ვე პროვინციაში, შიდამონღოლეთის ავტონომიურ ოლქსა და ტიბეტში გრძელდება მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს ვენის მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვება.

როგორც პეკინის რადიომ გადასცა, ხეილუნძიანის პროვინციაში მიმართვას ხელი მოაწერა 9.713 ათასმა კაცმა, ანუ მთელი მოსახლეობის 80-მდე პროცენტმა; შენსის, ანხოისა და შანსის პროვინციებში—მოსახლეობის 70 პროცენტმა.

ხელმოწერის შეგროვება ჩინეთში გრძელდება.

## ბირმელ მშვიდობისათვის მებრძოლთა კონფერენცია

პეკინი, 23 მარტი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, რანგუნში გაიმართა კონფერენცია, რომელიც მოიწვია ბირმის მშვიდობის დაცვის კომიტეტმა. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო ათასამდე ბირმელმა მშვიდობისათვის მებრძოლმა, მათ შორის ბირმის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ტაკინ კოდო ხმაინგმა და რანგუნის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ უ შვე პიუმ. კონფერენციას ესწრებოდა აგრეთვე მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარე ნიკოლოზ ტიხონოვი.

როგორც კონფერენციის თავმჯდომარემ ტაკინ კოდო ხმაინგმა განაცხადა, კონფერენციის მნიშვნელობა ის არის, რომ მისი მიზანია ბირმის ხალხის ერთიანობის განმტკიცება ბრძოლაში ომის წინააღმდეგ, მსოფლიოს ყველა ხალხთან ერთად მშვიდობის დაცვისათვის. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბირმელი ხალხი სულ უფრო აქტიურად ებმება ჩაგვრისა და ომის წინააღმდეგ ბრძოლაში.

უ შვე პიუმ თავის სიტყვაში დაგმო აგრესიული მოქმედება შეერთებული შტატებისა, რომლებმაც შეაკოწიწეს სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის სამხედრო ბლოკი, მოახდინეს ჩინეთის ტერიტორიის — ტაივანის ოკუპაცია და განზრახული აქვთ ჩაშალონ ჟენევის შეთანხმებანი. მან მკვეთრად დაგმო შეერთებული შტატები ატომური ომის მომზადებისათვის.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა ნიკოლოზ ტიხონოვმა, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ. მან განაცხადა, რომ ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი მიესალმება ბირმელი ხალხისა და ბირმის მთავრობის ბრძოლას მშვიდობის დასაცავად.

მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთი პრინციპი, რომლებიც გამოცხადებულია ჩინეთ-ინდოეთისა და ჩინეთ-ბირმის პრემიერ-მინისტრების ერთობლივ განცხადებებში, ხელს უწყობენ აზიის ქვეყნების ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის უზრუნველყოფას. ტიხონოვმა აღნიშნა, რომ საბჭოთა ხალხი მთლიანად უჭერს მხარს ამ პრინციპებს.

კონფერენციაზე წაიკითხეს ჩინეთის მშვიდობის დაცვის სახალხო კომიტეტის თავმჯდომარის გო მო-ჟოს წერილი, რომელშიც იგი კონფერენციას ახასიათებს როგორც „დიდ მოვლენას ბირმელი ხალხის ბრძოლაში მშვიდობისათვის“.

---

**წერილები ნოღაის ველიდან**

# 1. იქ, სადაც ტრამალებია

ვინც ერთხელ კასპიისპირეთის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს ყოფილა, მის ხსოვნაში არასოდეს არ წაიშლება აქაური ბუნების თავისებური სილამაზე.

„შავი მიწებისა“ თუ ნოღაის ველის რომელ ადგილსაც უნდა დაადგათ ფეხი, თქვენს გარშემო მაინც თვალუწვდენი, ჭეშმარიტად უსასრულო ველი იქნება, რომელსაც ახლა მორუხო ადგილ-ადგილ მოყვითალო ფერი ადევს.

მიდიხართ ამ ველებში, უცქერით ერთფეროვან ჰორიზონტს, სუნთქავთ კასპიის ზღვიდან მონაბერ ნიავს და თითქოს გესმით შესანიშნავი რუსული მელოდია „Степь да степь кругом...“, გაგონდებათ ა. პ. ჩეხოვი, რომელმაც შესანიშნავი ფერებით, ასე ხელშესახებად დახატა სამხრეთ რუსეთის ტრამალები.

ნოღაის ველზე სიჩუმე დგას. ერთი შეხედვით თითქოს აქ ყველაფერს სძინავს, მაგრამ ეს ასე როდია. აქაც ჩქეფს სიცოცხლე. აგერ გზა გადაირბინა თრიამ, უკანა ფეხებზე შემდგარა კურდღელი, კამარას ჰკრავენ ტოროლები, ზეცაში დაფარფატებს ველის არწივი, შორს კა — მიწისა და ცის შეერთებასთან ძოვს უცხო ჯოგი, ეს საიგებია — ყინულოვანი პერიოდის უძველეს ცხოველთა წარმომადგენლები.

ნოღაის ველი ძველთაგანვე განთქმულია როგორც ცხვრის შესანიშნავი საძოვარი, განსაკუთრებით შემოდგომიდან გაზაფხულამდე. ამიტომაც იყო, რომ ქართველმა მწყემსებმა დიდი ხნის წინათ გაიკვლიეს გზა კასპიისპირეთისაკენ.

წელიწადის განმავლობაში ტრამალები რამდენჯერმე იცვლიან სამოსელს. გაზაფხულობით აქ მწვანე ფერი ჭარბობს. ათასნაირი ბალახით იფარება მიდამო. თოვლის დნობის შედეგად გაჩენილ გუბურებში და არტეზიული ჭების მახლობლად თავს იყრის უამრავი გარეული ფრინველი. საამოდ უბერავს ზღვის ნიავი და, როგორც იტყვიან, ამ დროს აქ ყოფნას არაფერი სჯობია.

სულ სხვაა ზაფხულში, როცა შუა აზიის უდაბნოებიდან წამოსული ხორშაკი ესტუმრება ნოღაეთს, როცა ზეცადან გავარვარებული მზე აფრქვევს სხივებს. შრება გუბურები, უჩინარდებიან ფრინველები, ხმება ბალახი; ასეთ დროს ქართველ მწყემსებს თავიანთი ფარები კავკასიონის მთებში მიჰყავთ.

ზამთარი აქ მეტწილად თბილი და უთოვლო იცის, თუმცა არის ისეთი შემთხვევები, როცა კასპიის ზღვაზე ამოვარდნილი ქარიშხალი ტოვებს საზღვრებს და ნოღაის ველზე თოვლი და ქარბუქი მოაქვს. ადამიანებს ახსოვთ ისეთი ქარიშხალი, რომელსაც გაუწყვეტია ცხვარი და ადამიანებიც კი.

ასეთი ქარიშხალი ამოვარდა შარშან და სერიოზული ზარალი მიაყენა ფერმებს. ადამიანებმა მაშინ იგრძნეს, რომ ნოღაეთში ძველებურად აღარ შეიძლებოდა შრომა და ცხოვრება, ამიტომაც ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა, რომლებიც ცხვარს კასპიისპირეთში აზამთრებენ, საბჭოთა მთავრობის დახმარებით დიდი ღონისძიებები განახორციელეს მწყემსთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად. შარშან ქართველმა მწყემსებმა პირველად გადაჭარბებით შეასრულეს თივის დამზადების გეგმა, ააგეს ცხვრის მთელი სულადობისათვის საკმარისი ფარეხები. ნოღაის ველზე საქართველოს კოლმეურნეობებს ახლა აქვთ 107 ახალი სახლი, 57 აბანო. საძოვრებზე გაკეთდა რამდენიმე არტეზიული ჭა, რადიოფიცირებულია მწყემსთა ბინები.

...და ახლა მორიგეობისაგან თავისუფალი მოზამთრენი თბილ და ნათელ სახლში საღამოთი თავს რომ მოიყრიან, გულისტკივილით იგონებენ შარშანდელ ზამთარს. ქართველ კაცს ხუმრობა უყვარს, რა გაჭირვებაშიც უნდა ჩავარდეს, ყოველთვის გამოძებნის მარილიან სიტყვას, რომელიც დაღლილ ადამიანს პირზე ღიმილს მოჰგვრის, დარდს დაავიწყებს, გაამხნევებს.

— ჩვენი რაიონიდან იყვნენ, გვარებს არ დავასახელებ, — უყვება ამხანაგებს ახალგაზრდა მწყემსი, — შარშან კოლმეურნეობის ერთი პატარა ფარა ებარათ. ჰო და ზამთარში, ზოგი თავიანთი ბედოვლათობით, ზოგიც უამინდობით ცხვარი გაუწყდათ და მარტო ვირიღა დარჩათ. რა ქნან, დაბრუნდნენ სახლში, ვირი ვიღას დაუტოვონ, არა და რაღა გააკეთონ. ბევრი იფიქრეს და მერე ისეთ გადაწყვიტეს, რომ თავმჯდომარესთან წერილი მიეწერათ: — თუ ძმა ხარ იმდენი ფული მაინც გამოგვიგზავნე, რომ ვაგონი ვიქირაოთ ვირის ჩამოსაყვანადო...

თავმჯდომარეს ასე ეგონა — ილონდ ცხვარი ნოღაეთში გაუშვი და მას მეტი არაფერი სჭირდება, გაზაფხულზე ფარა ნამატით ჩამოვაო და ახლა ეს წერილი რომ მიიღო, ახტადახტა და ბედოვლათებს ასეთი პასუხი გამოუგზავნა: — მე რომ თქვენ ადგილას ვიყო, ასე შერცხვენილი სოფელში არ დავბრუნდებოდი, თუ არ დაგიშლიათ და მაინცდამაინც ჩამოსვლა გინდათ, ვირზე უკუღმა შეჯექით და ისე მობრძანდითო...

მწყემსები გულიანად იცინიან. არის ამ ამბავში წინა წლებისათვის დამახასიათებელი რამ, როცა ცხვრის გამოზამთრების საქმეს ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა და ზოგი მწყემსი მთელი ზამთრის განმავლობაში ბედის ანაბარად იყო მიტოვებული.

ეს აღარასოდეს გამეორდება. ქართველ მეცხვარეებს ახლა ყველა პირობა აქვთ იმისათვის, რომ საუკეთესოდ გამოაზამთრონ ცხვარი, მთლიანად შეინარჩუნონ ნამატი. სასიხარულოა, რომ ისინი აქ თავს ისე გრძნობენ, როგორც საკუთარ სახლში.

ჩვენ შემოვიარეთ დუშეთის, ყაზბეგის, ახმეტისა და ლენინგორის რაიონების ფერმათა ბინები და ყველგან ვგრძნობდით იმ მზრუნველობას, რასაც მეცხოველეებისადმი კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა იჩენენ. რა თქმა უნდა, აქა-იქ ახლაც არის ნაკლოვანებანი, მაგრამ მათი გამოსწორება არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. მთავარია, რომ ადამიანები შრომობენ შეგნებულად, მიზანსწრაფულად, იმ ამოცანების შესაბამისად, რაც მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა.

შარშან ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებში დიდი მასშტაბით პირველად განხორციელდა თუშური ცხვრის ხელოვნური დათესვლა ნაზმატყლიანი მწარმოებლებით. ნოღაის ველზე ამ დღეებში გაცხოველებული დოლია და მწყემსები აშკარად ხედავენ ამ ღონისძიების ნაყოფს. ასობით იბადებიან ნახევრადნაზმატყლიანი, დიდი ბატკნები. ეს იმას ნიშნავს, რომ კოლმეურნეობები მომავალში ქვეყანას მისცემენ გაცილებით მეტ და უკეთესი ხარისხის მატყლს.

ხანშიშესულ მეცხვარეს მიხა ნადიბაიძეს გულწრფელი ლექსით გამოუხატავს ამით გამოწვეული სიხარული:

ბიჭებო დოლი დაიწყო,
ახლა დრო არის ცდისაო,
საჯიშედ შერჩეული გვყავს
ნანატრი დიდი ხნისაო,
მომცემი კარგი მატყლისა,
გამვლელი შორი გზისაო...

მწყემსებს ახსოვთ ნაკისრი ვალდებულება, შემოქმედებითად იბრძვიან ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. ამიტომ ნადიბაიძე წერს:

უნდა მივიდეთ მთიულეთს,
ექვსი ათასი ცხვრითაო,
ჩვენაც მივიღოთ ნაშრომი,
მადლობა მთავრობისაო.

წარსულის სევდა და მომავლის იმედია ჩაქსოვილი სტრიქონებში:

საღამოს ჩვენი ფანდური
მწყემსის წარსულზე თქვლისაო,
ის დაწყევლილი ზამთარი
გამნადგურები ცხვრისაო,
მალე შედგება ფარები,
გული რომ მოკლას მტრისაო...

ნოღაის ველი ყინულოვანი ოკეანე არ არის. აქ არც პოლარული ღამეებია და არც მოდრეიფე ყინულები, მაგრამ კასპიისპირეთში მყოფ ათას ორასზე მეტ ქართველ მეცხვარეს მაინც მოზამთრეებს ეძახიან, ისინი სასახელო შრომას ეწევიან ჩვენი რესპუბლიკიდან დაშორებით მკაცრ კლიმატურ პირობებში. ამიტომ მათ ეს სახელი კანონიერად აქვთ დამსახურებული.

სანამ მათ შესახებ ვილაპარაკებდეთ, მანამდე გვსურს მკითხველებს გავაცნოთ ის ადამიანები, რომლებიც პატიოსანი შრომით ეხმარებიან მეცხოველეებს თავიანთი სასახელო საქმეების წარმატებით შესრულებაში.

... შუაღამე გადასული იყო, როცა მწყემსი საძოვრების სიღრმეში შევიდა, სიცხისაგან გათანგული, გაოფლიანებული ცხენები ტაატით მიაგორებდნენ ფქვილით დატვირთულ ოთხთვალას.

მოულოდნელად გზის პირას უცხო ფრინველმა შეიფრთხიალა, ოთხთვალას წინ ჩაუფრინა და ტრამალების სივრცეში გაუჩინარდა... დაფრთხნენ ცხენები, მწყემსმა მთელი ძალით მოსწია სადავეს, მაგრამ ამაოდ, ცხენები ელვის სისწრაფით მიჰქროდნენ და მათი შეჩერება აღარავის შეეძლო.

მწყემსს მხოლოდ ის ახსოვს, როგორ ერთბაშად აიწია მაღლა ოთხთვალას წინა ნაწილმა, როგორ გადმოვარდა იგი დამტვერილ მიწაზე. ეს არის და ეს.

რამდენიმე ხნის შემდეგ მგზავრებმა გრძნობადაკარგული, დასახიჩრებული კაცი ჩორნი რინოკის საავადმყოფოში მიიყვანეს.

ქართველმა ექიმებმა მარსაგიშვილმა და ციმაკურიძემ პაციენტს სასწრაფოდ რთული ოპერაცია გაუკეთეს. გავიდა დღეები, ავადმყოფს უკეთესობა დაეტყო და ორიოდე თვეში ცხვარს დაუბრუნდა.

ვინ იცის, მადლობის რამდენი გულთბილი სიტყვა უთქვამთ მწყემსებს ჩორნი რინოკისა და ბაჯიგანის საავადმყოფოების მუშაკთა მისამართით.

ბაჯიგანის მასივში — არტეზიული ჭის მახლობლად საავადმყოფოს ოთკორპუსიანი შენობაა. აქ მერვე წელიწადია ახალგაზრდა ცოლქმარი — თამარ და ამირან შუბლაძეები ეწევიან პატრიოტულ შრომას.

საავადმყოფოში სანიმუშო სისუფთავე და წესრიგია. სამედიცინო მუშაკების პატარა კოლექტივი დიდი გულისხმიერებით უვლის პაციენტებს.

— ავადმყოფები ძალიან ცოტა გვყავს, ჩვენი მწყემსები მაგარი ხალხია, — ამბობს ამირანი.

მომთაბარე ვეტერინარული პუნქტის ფერშალს ნიკოლოზ ბარანოვსკის მაშინ გავეცანით, როცა საძოვრების სამმართველოს უფროსს დავით ანდღულაძეს შეჩიოდა:

— ასეთ დროს ჩემი აქ გაჩერება დანაშაულია, მე ახლა კანონით მთელი დღეები ცხვრის ბინებში უნდა ვიყო, მომეცით ტრანსპორტი, მეტის მოთმენა შეუძლებელია.

ანდღულაძე აღელვებულ ნიკოლოზს დახმარებას შეჰპირდა. როცა ეს უკანასკნელი დაწყნარდა, ოთახში მივიწვია.

დიდი ხანი არ არის, რაც ბარანოვსკი არმიიდან დაბრუნდა. მის გიმნასტურას ჯერ კიდევ ეტყობა სამხრეების კვალი. ამას წინათ ნოღაის ველზე დაიწყო მუშაობა და საქმეში არმიული წესრიგი და ცეცხლი მოიტანა. იგი ახალგაზრდული გატაცებით შრომობს, ღამე იქნება თუ დღე, თოვლი თუ წვიმა, ყოველთვის მზად არის გაემგზავროს იქ, სადაც ცხვარს დახმარება სჭირდება.

ჩვენი რესპუბლიკის ფერმებმა ნოღაის ველზე საკვების დამზადების გეგმა რომ გადაჭარბებით შეასრულეს, ამაში მათ დიდი დახმარება გაუწია მეცხოველეობის სამანქანო სადგურმა, რომელსაც ინჟინერი ირაკლი ქავთარაძე ხელმძღვანელობს. გასულ წელს, მთელი ზაფხულის განმავლობაში, გავარვარებულ მზის ქვეშ მექანიზატორებს ერთი წუთითაც არ შეუწყვეტიათ შრომა, თავდადებულად იბრძოდნენ თვითეული კილოგრამი თივისათვის.

სადგურის კოლექტივი ახლაც ნაყოფიერად ემზადება თივის აღებისათვის, რაც ცხვრის საზაფხულო საძოვრებზე გადარეკვის შემდეგ დაიწყება.

• • •

ნოღაის ველს წყალი აკლია.

გაივლის რამდენიმე წელიწადი და თერგ-კუმის არხი, რომლის მშენებლობა უკვე დაიწყო, სასიცოცხლო ძალას მოუტანს ნახევრადუდაბნო ტრამალებს.

მანამდე კი საჭირო იქნება ახალი არტეზიული ჭების გათხრა, რის ნაკლებობაც განსაკუთრებით იგრძნობა ჩვენი რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონის საძოვრების ცალკეულ უბნებში.

ნოყიერია აქაური მიწა.

გასულ წელს დუშეთის რაიონის სოფელ მლეთის კოლმეურნეობის მწყემსებმა არტეზიული ჭის მახლობლად, სარწყავ ადგილას მშვენიერი ბაღჩა გააშენეს. უზარმაზარი საზამთროები, მუშტის ოდენა წითელი პამიდორი, კარტოფილი, ნაირნაირი მწვანილი მოიყვანეს მეცხვარეებმა.

რაც უფრო მეტი არტეზიული ჭა ექნებათ მოზამთრეებს, მით უფრო მეტ ბოსტნეულს და ბაღჩეულს მიიღებენ.

დუშელ მწყემსებს გადაწყვეტილი აქვთ წელს სიმინდი დათესონ. ცხადია, რომ სიმინდის კულტურა აქაც ფართოდ გავრცელდება და ფერმები ამით კიდევ უფრო გაადიდებენ საკვების რეზერვებს, მხოლოდ ამისათვის საჭირო იქნება წყალი, რაც შეიძლება მეტი წყალი.

მაისის პირველ ნახევარში იწყება ცხვრის საზაფხულო საძოვრებზე გადარეკვა. ეს ის პერიოდია, როცა ჩვეულებრივად ნოღაეთიდან დაწყებული დარიალამდე აუტანელი სიცხე და ბუღი დგას. უზარმაზარ ტერიტორიაზე იშლება ცხვრის ქარავანი, მოწინავე ფარები კავკასიონის ქედს რომ მიადგებიან, ცხვრის არიერგარდი მხოლოდ მაშინ იწყებს ნოღაეთიდან სვლას.

მძიმე პირობებში უხდებოდათ წარსულში მწყემსებს ამ გზის გადალახვა და, შეიძლება ითქვას, რომ გადასარეკი ტრასა თუ არ გაუმჯობესდა, ამ გაზაფხულზეც არ იქნება ადვილი ცხვრის უდანაკარგოდ გადარეკვა. ისე, როგორც საძოვრებზე, აქაც საჭიროა წყალი, საჭიროა დასასვენებელი მოედნების მოწყობა და ვიწრო ტრასის გაფართოება. ამასთან აუცილებელია მომთაბარე მეცხვარეობის რაიონებმა გადარეკვის პერიოდში გამოიყენონ მთელი ტრანსპორტი დასუსტებული ცხვრის გადასაყვანად.

ყველაფერი ეს ნაკარნახევია წარსული წლების მწარე გამოცდილებით. ამის დავიწყება არ შეიძლება.

**ა. კოკილაშვილი,**
**ა. თომაძე,**
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პოლონეთის მთავრობის განცხადება შვეციისა და შვეიცარიის მთავრობებისადმი

ვარშავა, 23 მარტი. (საკდესი). პოლონეთის პრესის სააგენტო იუწყება:

ამა წლის 27 იანვარს შვეციისა და შვეიცარიის მთავრობებმა პოლონეთის მთავრობას შეატყობინეს იმ სამახსოვრო წერილების შინაარსი, რომლებიც გაეგზავნათ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს. ამ სამახსოვრო წერილებში შვეციისა და შვეიცარიის მთავრობები მხარს უჭერენ იმას, რომ გაუქმდეს კორეაში დაზავების სამეთვალყურეო კომისია ნეიტრალურ სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან ან შეიზღუდოს კომისიის საქმიანობა მისი პერსონალის შემცირების გზით.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დიპლომატიურმა წარმომადგენლებმა სტოკჰოლმსა და ბერნში შვეციისა და შვეიცარიის მთავრობებს გაუგზავნეს იდენტური სამახსოვრო წერილები.

ამ წერილებში პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დათანხმდა რა მონაწილეობა მიეღო კორეის კომისიაში ნეიტრალურ სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან, იგი ემყარებოდა იმას, რომ თავისი მონაწილეობით ხელს შეუწყობდა კორეის საკითხის მტკიცე მშვიდობიან მოწესრიგებას. თუმცა გარკვეული წრეების დანაშაულით, რომლებიც დაინტერესებული არ არიან კორეის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრით, ეს მიზანი დღემდე სავსებით მიღწეული არ არის, მაგრამ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას მიაჩნია, რომ კომისიის არსებობა და დაზავებისადმი მისი მეთვალყურეობა კორეასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნების დიდმნიშვნელოვანი დადებითი ფაქტორია.

დაზავების სამეთვალყურეო კომისიის თითქმის ორი წლის საქმიანობამ ცხადყო, რომ კომისიას შეუძლია ქმედითად და სასარგებლოდ შეასრულოს თავისი ფუნქციები. ამიტომ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას საჭიროდ მიაჩნია შენარჩუნებულ იქნას დაზავების სამეთვალყურეო კომისია ნეიტრალურ სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან და შემდგომ მიიღოს მონაწილეობა მის მუშაობაში.

ამავე დროს პოლონეთის მთავრობას მიაჩნია, რომ კომისიის მონაწილე სახელმწიფოთა შეთანხმების გზით ამ კომისიის პერსონალის შემცირების საკითხის განხილვა შესაძლებელია იმ პირობით, თუ ეს შემცირება ხელს არ შეუშლის კომისიას შეასრულოს ის ფუნქციები, რომლებსაც განსაზღვრავს შეთანხმება დაზავების შესახებ.

## პრემიერ-მინისტრ ნერუს განცხადება

პარიზი, 23 მარტი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, პასუხად პარლამენტის ერთი დეპუტატის შეკითხვისა, მიიღო თუ არა ინდოეთის მთავრობამ წინადადება კორეაში დაზავების სამეთვალყურეო კომისიის ლიკვიდაციის შესახებ, ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნერუმ განაცხადა: „თუმცა ინდოეთის მთავრობა უშუალოდ დაინტერესებული არ არის ამ კომისიით, მაგრამ იგი ფიქრობს, რომ კორეაში ერთადერთი ნეიტრალური ორგანოს ლიკვიდაცია სასურველი არ იქნებოდა ახლანდელ მდგომარეობაში. ეს ლიკვიდაცია შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ორივე მხარის სარდლობათა თანხმობით“.

## ინდონეზიის ეროვნული პარტიის საბჭოს თავმჯდომარის განცხადება

პეკინი, 23 მარტი. (საკდესი). სინხუას სააგენტო ჯაკარტიდან გადმოგვცემს:

როგორც გაზეთი „სინ პო“ იუწყება, ინდონეზიის ეროვნული პარტიის საბჭოს თავმჯდომარემ სიდიკ ჯოიოსუკარტომ განაცხადა, რომ აზიისა და აფრიკის ქვეყნების მომავალი კონფერენცია ბანდუნგში ხელს შეუწყობს ომის საფრთხის შემცირებას. შემდეგ გაზეთი იუწყება, რომ, როგორც ჯოიოსუკარტომ აღნიშნა, აზიისა და აფრიკის ქვეყნები მხარს უჭერენ მშვიდობის საქმეს და გამოდიან ომის წინააღმდეგ. ყველამ, ვინც შეეცდება ომის გაჩაღებას, ანგარიში უნდა გაუწიოს აზიისა და აფრიკის ხალხების მისწრაფებას მშვიდობისადმი.

ჯოიოსუკარტო შეეხო ატომური იარაღის პრობლემას და განაცხადა, რომ ინდონეზიის ეროვნული პარტია მხარს დაუჭერს ყოველ ღონისძიებას ამ იარაღის ასაკრძალავად. მან კმაყოფილება გამოთქვა იმ წარმატების გამო, რომელიც მოიპოვა მშვიდობის მოძრაობამ ატომური ომის წინააღმდეგ. ატომის ენერგია, თქვა მან, შეიძლება გამოვიყენოთ და კიდევაც უნდა გამოვიყენოთ კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

## საფრანგეთის რესპუბლიკის საბჭოში დაიწყო კამათი

პარიზი, 23 მარტი. (საკდესი). დღეს ნაშუადღევს რესპუბლიკის საბჭოში დაიწყო კამათი პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის საკითხზე. ეს შეთანხმებანი ითვალისწინებენ დასავლეთ გერმანიის შეიარაღებას.

რესპუბლიკის საბჭო საფრანგეთის პარლამენტის მეორე პალატაა, რომელიც განიხილავს ეროვნული კრების მიერ პირველი წაკითხვით მოწონებულ კანონპროექტებს. მას უფლება აქვს შეიტანოს შესწორებანი კანონპროექტებში ან გამოთქვას სურვილები. ეროვნულ კრებასა და რესპუბლიკის საბჭოს შორის უთანხმოების წარმოშობის შემთხვევაში კანონპროექტები შეიძლება რამდენჯერმე გადავიდეს ერთი პალატიდან მეორეში ასი დღის განმავლობაში. თუ ამ პერიოდის განმავლობაში არ იქნება მიღწეული შეთანხმება პალატებს შორის, მაშინ კანონპროექტზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლება ეკუთვნის ეროვნულ კრებას.

რესპუბლიკის საბჭო ახლა აერთიანებს 319 წევრს. მას შემდეგ, რაც რესპუბლიკის საბჭოს შემადგენლობა განახლდა რეაქციული საარჩევნო კანონის საფუძველზე, მემარჯვენე პარტიებმა და დაჯგუფებებმა მოახერხეს ხელთ ეგდოთ ადგილთა უმეტესობა ამ პალატაში. კომუნისტურ ჯგუფში 16 სენატორია.

კამათი დაიწყო დაძაბულ ვითარებაში. დღეს დილით კამათში გამოსვლისათვის ჩაეწერა უკვე 42 ორატორი. მიუხედავად ყველა მანევრისა და ხრიკისა, მთავრობის წრეებმა მაინც ვერ მოახერხეს თავიდან აეცილებინათ წინადადებათა შეტანა რატიფიკაციის კანონპროექტის შესწორებათა შესახებ. ახლა წარმოდგენილია ოთხი შესწორება.

„დამოუკიდებელმა რესპუბლიკელმა“ არმანგომ სამრეწველო წარმოების კომისიის სახელით წინადადება შეიტანა იმის შესახებ, რომ კანონპროექტში შეტანილ იქნას ისეთი პუნქტი, რომლითაც პარიზის შეთანხმებათა სარატიფიკაციო სიგელების გადაცემა შესანახავად შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც შეიქმნება ევროპის „იარაღის წარმოების, სტანდარტიზაციისა და განაწილების, აგრეთვე სხვა ქვეყნების მხრივ დახმარების სააგენტო“. როგორც ცნობილია, ეს წინადადება შეესაბამება საფრანგეთის მონოპოლიების მისწრაფებას — უზრუნველყონ თავისთვის ხელსაყრელი პოზიციები სამხედრო დაკვეთების განაწილების დროს. იგი ასახავს აგრეთვე მისწრაფებას — დაარწმუნონ საფრანგეთის საზოგადოებრიობა, რომ „სააგენტო“ დასავლეთ გერმანიის შეიარაღებისადმი „კონტროლის“ გაწევის საშუალება იქნება.

„სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის“ პარტიის წევრმა კუდე დიუ ფორესტომ სამრეწველო წარმოების კომისიის სახელით შეიტანა საარის შესახებ შეთანხმების შესწორება, რომელიც ითვალისწინებს, რომ სარატიფიკაციო სიგელთა გაცვლა მოხდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაიდება საფრანგეთ-საარის კონვენცია ეკონომიური თანამშრომლობის შესახებ.

„მემარცხენე რესპუბლიკელთა გაერთიანების“ წევრებმა პენტონმა და რესტამ შეიტანეს შესწორება, რომელიც მოითხოვს, რომ პარლამენტის გადაწყვეტილება — დამტკიცდეს პარიზის შეთანხმებანი — ძალაში შევიდეს მხოლოდ 1955 წლის 1 აგვისტოდან. ამ ვადის განმავლობაში დასავლეთის ქვეყნების (ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და ინგლისის) მთავრობებმა უნდა დაიწყონ მოლაპარაკება საბჭოთა კავშირის მთავრობასთან „საფრანგეთ-ბრიტანეთის 1954 წლის 11 ივნისის წინადადებათა საფუძველზე საყოველთაო განიარაღების პირობების შესახებ, აგრეთვე იმ საკითხთა მოწესრიგების პირობების შესახებ, რომლებიც შეეხება გერმანიასა და ავსტრიას“. შემდეგ შესწორების ავტორები მოითხოვენ შეიქმნას „ევროპის შეიარაღების სააგენტო“, რომელზეც უკვე იყო ლაპარაკი.

ბოლოს „დამოუკიდებელმა რესპუბლიკელმა“ მარსილასიმ აგრეთვე შეიტანა შესწორება იმავე „შეიარაღების სააგენტოს“ შექმნის შესახებ.

გარდა ამისა, ეკონომიკის საკითხთა კომისიამ დღეს დილით 12 ხმით 3 ხმის წინააღმდეგ მიიღო რეზოლუცია, რომელიც საარის სტატუტს შეეხება. ამ რეზოლუციას განიხილავენ რესპუბლიკის საბჭოს სხდომაზე.

ყველა ეს შესწორება მოწმობს დაბნეულობას მემარჯვენე პარტიებში დასავლეთ გერმანიის შეიარაღების პროექტებთან დაკავშირებით.

როგორც უკვე იუწყებოდნენ, „დამოუკიდებელმა რესპუბლიკელმა“ მარსილასიმ, შესწორების გარდა, შეიტანა აგრეთვე „წინასწარი საკითხი“, რომელიც შეეხება ფორის მთავრობის ყველა წევრის დამოკიდებულებას იმ დოკუმენტებისადმი, რომლებიც წარდგენილია დასამტკიცებლად.

დღევანდელი სხდომის დასაწყისში მარსილასიმ განაცხადა, რომ იგი უარს ამბობს ამ „წინასწარი საკითხის“ დასმაზე.

რესპუბლიკის საბჭოს სხდომა გრძელდება.

## ჩერჩილის განცხადება თემთა პალატაში ამერიკის შეერთებულ შტატებში იალტის კონფერენციის «დოკუმენტების» გამოქვეყნების გამო

ლონდონი, 23 მარტი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, გუშინ ჩერჩილმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ მას 1945 წლის იალტის მოლაპარაკების ამერიკული ვერსიის გამოქვეყნება „უდროოდ“ მიაჩნია.

უპასუხა რა მთელ რიგ შეკითხვებს ამ თემაზე, პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ გასული წლის ზაფხულში ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს აცნობეს, რომ ამერიკის მთავრობას სურს გამოაქვეყნოს მასალების კრებული, რომლებიც შეეხებიან მალტის, იალტისა და პოტსდამის კონფერენციებს. იალტის დოკუმენტების გაუსწორებელი ანაბეჭდები ინგლისის განკარგულებაში იყო 1954 წლის დეკემბრიდან.

ჩერჩილმა დასძინა, რომ მისი სრული თანხმობით საგარეო საქმეთა მინისტრმა „გაგზავნა პასუხი, რომელშიც საერთო მოსაზრებებით ეწინააღმდეგებოდა მნიშვნელოვანი საერთაშორისო მოლაპარაკებების დაწვრილებითი დოკუმენტების ასე მალე გამოქვეყნებას“.

მიმდინარე წლის 12 იანვარს, ჩერჩილის სიტყვით, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა დალესს განუცხადა, რომ თუმცა იგი არ მოითხოვს გამოქვეყნებაზე უარის თქმას, მაგრამ მიაჩნია, რომ ამჟამად სრულიად არ არის სასურველი მათი გამოქვეყნება. 11 მარტს, თქვა ჩერჩილმა, შეერთებული შტატების მთავრობამ ინგლისის მთავრობას აცნობა, რომ მან გადაწყვიტა არ გამოაქვეყნოს აღნიშნული დოკუმენტები, მაგრამ 15 მარტს ინგლისს უთხრეს, რომ აღარ შეიძლება დოკუმენტების გამოქვეყნებისათვის წინააღმდეგობის გაწევა. 24 საათის შემდეგ ისინი უკვე გამოქვეყნდა“.

## ეგვიპტის ეროვნული ხელმძღვანელობის მინისტრის განცხადება

კაირო, 23 მარტი. (საკდესი). კაიროს რადიომ გადასცა, რომ ეგვიპტის ეროვნული ხელმძღვანელობის მინისტრმა სალაჰ სალემმა უარყო უცხოეთის ზოგიერთი საინფორმაციო სააგენტოს ცნობა იმის შესახებ, თითქოს მოსალოდნელია ცვლილებები ეგვიპტის საგარეო პოლიტიკაში.

სალაჰ სალემმა განაცხადა, რომ ეგვიპტეს არ შეუცვლია და არც შეცვლის თავის პოლიტიკას არაბთა ქვეყნების მიმართ. ეს პოლიტიკა, მისი სიტყვით, ემყარება უცხოეთის პაქტებში მონაწილეობაზე უარის თქმის პრინციპს. ეგვიპტე, თქვა სალემმა, რჩება იმ პრინციპების ერთგული, რომლებიც ჩამოყალიბებულია სირიის, ეგვიპტისა და საუდის არაბეთის მთავრობების განცხადებებში თანამშრომლობის შესახებ პოლიტიკურ, სამხედრო და ეკონომიურ საკითხებში და მთელის არაბთა სახელმწიფოების პრემიერ-მინისტრების შეხვედრას, რათა განახორციელოს ეს შეთანხმება. სალემმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახალი საარაბთაშორისო ორგანიზაცია არ იქნება დაკავშირებული არც თურქეთ-ერაყის პაქტთან, არც უცხოეთის სხვა რომელიმე ბლოკთან.

სალემმა გააფრთხილა არაბთა სახელმწიფოების ხელმძღვანელები, რომ არსებობს იმპერიალისტური ინტრიგები, რომელთა მიზანია უთანხმოება და უნდობლობა ჩამოაგდონ არაბთა შორის.

## საბჭოთა პავილიონის წარმატება უტრეხტის გამოფენაზე

ჰააგა, 23 მარტი. (საკდესი). უტრეხტის გამოფენის პირველი დღე აღინიშნა საბჭოთა პავილიონის დიდი წარმატებით. როგორც წესი, გამოფენის თითოეული მნახველი აუცილებლად შედის საბჭოთა მრეწველობის ნაწარმის დასათვალიერებლად. მნახველები დიდხანს ჩერდებიან მძლავრ სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო და საგზაო მანქანებთან, მუსიკისა და რადიოს განყოფილებაში, ბეწვეულის, ხალიჩების, საფეიქრო და სხვა განყოფილებებში.

ჰოლანდიის პრესა დიდ ყურადღებას აქცევს საბჭოთა პავილიონს. გაზეთები აღნიშნავენ პავილიონის კარგ მხატვრულ გაფორმებას, მრავალფეროვანი გამოფენილი საქონლის მაღალ ხარისხს.

გუშინ, გამოფენის გახსნის დღეს, საბჭოთა პავილიონს ეწვია ჰოლანდიის პრემიერ-მინისტრი დრეისი. როგორც გაზეთი „ჰაგშე კურანტი“ იუწყება, დრეისმა აღტაცება გამოთქვა საბჭოთა პავილიონის კარგი გაფორმების გამო და დიდი ინტერესი გამოიჩინა ზუსტი მექანიკის ნაწარმისადმი, აგრეთვე ელექტრონის აპარატურის, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, საფეიქრო და მხატვრული ნაწარმისადმი. პრემიერ-მინისტრს ახლდა სსრ კავშირის ელჩი ნიდერლანდში ს. პ. კირსანოვი და სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი ნიდერლანდში ე. პ. გუროვი.

## ატომური ომის მომზადების წინააღმდეგ

ტოკიო, 23 მარტი. (საკდესი). იაპონიაში დღითიდღე ფართოვდება საპროტესტო კამპანია ატომური ომის მომზადების წინააღმდეგ. გაზეთი „აკახატა“ იუწყება, რომ ტოკიოში გაიმართა კრება ორი ათასზე მეტი კაცის მონაწილეობით, კრებაზე გამოვიდნენ ცნობილი იაპონელი საზოგადო მოღვაწეები ხირანო, კატაიამა, იასუი, რომლებმაც მოუწოდეს დამსწრეთ გააძლიერონ ბრძოლა ატომური ომის საფრთხისა და იაპონიის მილიტარიზაციის წინააღმდეგ.

გაზეთი „ხეივა სიმბუნი“ იუწყება, რომ ქალაქ ხიროში გაიმართა მიტინგი, რომელსაც 6 ათასზე მეტი კაცი დაესწრო. კრების მონაწილეებმა დიდი ყურადღებით მოუსმინეს მშვიდობის საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატს პროფესორ იკუო ოიამას და ერთსულოვნად მიიღეს „მშვიდობის დეკლარაცია“, რომელშიც გამოთქმულია პროტესტი იმპერიალისტთა მიერ ატომური ომის მომზადების წინააღმდეგ.

## მდგომარეობა ალჟირში

პარიზი, 23 მარტი. (საკდესი). საფრანგეთის მთავრობამ გადაწყვიტა სასწრაფოდ შეიტანოს ეროვნულ კრებაში კანონპროექტი ალჟირში „საგანგებო წესების“ შემოღების შესახებ. როგორც იუწყებიან, მთავრობა მოითხოვს კანონპროექტის დაუყოვნებლივ განხილვას. ეს ღონისძიებანი ოფიციალურად მოტივირებულია იმით, რომ საჭიროა „უზრუნველყოფილ იქნას უშიშროება“ ალჟირში.

როგორც ცნობილია, 1954 წლის ნოემბერში ალჟირში იფეთქა მასობრივმა გამოსვლებმა საფრანგეთის ადმინისტრაციის წინააღმდეგ. ამ გამოსვლათა ჩასახშობად საფრანგეთის ხელისუფლებმა ალჟირში გაგზავნეს 150 ათასამდე ჯარისკაცი. შეიარაღებული შეტაკებანი აქამდე გრძელდება.

დაძაბული მდგომარეობა ალჟირში რთული პრობლემაა საფრანგეთის მთავრობისათვის. ყოველივე ცდა — მოსპონ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ალჟირში (ისევე როგორც მაროკოსა და ტუნისში) — ვერავითარ საგრძნობ შედეგს ვერ აღწევს. პირიქით, მდგომარეობა ჩრდილოეთ აფრიკაში დღითიდღე სულ უფრო მწვავდება. ეს აღინიშნა მთავრობის სპეციალურ სხდომაზეც, რომელიც ამ დღეებში გაიმართა და რომელიც მიეძღვნა ჩრდილოეთ აფრიკის პრობლემებს.

საფრანგეთის პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კოლონიური ხელისუფალნი ცდილობენ სასტიკი რეპრესიებით ჩაახშონ ალჟირელი ხალხის ბრძოლა ალჟირში დემოკრატიული გარდაქმნებისათვის.

# თბილისი



ამას წინათ საქართველოს კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის შენობაში გაიხსნა საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის განყოფილება, რომელსაც აქვს ორი სამკითხველო დარბაზი, საკატალოგო და წიგნთსაცავი. აქ ყველა სახის ლიტერატურაა — 18 ათასზე მეტი წიგნი, ყოველთვის არის ახალი ჟურნალ-გაზეთები. სამკითხველო დარბაზები ერთდროულად 60 კაცს ემსახურება. ამჟამად აქ მოწყობილია ახალი წიგნების გამოფენა. სურათზე: მოსწავლეები სამკითხველო დარბაზში.

ფოტო და ტექსტი შ. ჩხეტიანისა.

## საქართველოს XVI ჩემპიონატი ჭადრაკში

### მეთერთმეტე ტური

ყურადღების ცენტრში იყო გ. გოგლიძე — ო. ელიოზიშვილის პარტია. ახალგაზრდა მოჭადრაკემ კარგად გამოიყენა ოსტატის ლაზიერის ჩაკეტილი მდგომარეობა და მოიგო ფიგურა. 43-ე სვლაზე ო. ელიოზიშვილმა გ. გოგლიძეს მიაყენა პირველი დამარცხება. ა. ბუსლაევმა ენერგიულად შეუტია გ. კალატოზიშვილს და გაიმარჯვა. თ. გიორგაძემ მოუგო ი. ვაისმანს, ხოლო გ. მაჭავარიანმა — ზ. ჩაჩუას.

ოთხი პარტია გადაიდო. გ. ქარსელაძეს პაიკი აკლია მ. შიშოვთან, ხოლო თ. კალატოზიშვილს — ბ. გურგენიძესთან. რთული პოზიციაა ბ. რავკინ — გ. გამრეკელის პარტიაში. თანაბარ მდგომარეობაშია შეწყვეტილი ე. მიქაელიან — ა. ებრალიძის შეხვედრა.

თერთმეტი ტურის შემდეგ წინ არიან: მ. შიშოვი — 9 ქულა და ერთი გადადებული პარტია, გ. გოგლიძე — 8 ქულა, ბ. გურგენიძე — 7,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია, ა. ებრალიძე — 7 ქულა და ერთი გადადებული პარტია.

### მეთორმეტე ტური

ყველაზე ადრე დამთავრდა ბ. გურგენიძე — ე. მიქაელიანის შეხვედრა. მე-19 სვლაზე გურგენიძემ აიძულა მოწინააღმდეგე დანებებულიყო. გ. გოგლიძემ დებიუტში ზ. ჩაჩუას პაიკი მოუგო. პარტიის დაბოლოება ოსტატმა ძლიერად ჩაატარა და გაიმარჯვა. გ. მაჭავარიანმა მოუგო ბ. რავკინს, თ. კალატოზიშვილმა — ი. ვაისმანს.

საინტერესო თამაშის შემდეგ ყაიმით დამთავრდა ა. ბუსლაევ—მ. შიშოვისა და ა. ებრალიძე—გ. კალატოზიშვილის შეხვედრები. თანაბარ მდგომარეობაშია გადადებული გ. გამრეკელი—თ. გიორგაძისა და ო. ელიოზიშვილი — ვ. ქარსელაძის პარტიები.

თორმეტი ტურის შემდეგ წინ არიან მ. შიშოვი — 9,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია, გ. გოგლიძე — 9 ქულა, ბ. გურგენიძე — 8,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია, ა. ებრალიძე — 7,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია.

## თბილისის პარკებში

დაიწყო თბილისის პარკებისა და ბაღების მომზადება საზაფხულო სეზონისათვის, მშრომელთა კულტურული დასვენებისა და გართობის მოსაწყობად.

განსაკუთრებით დიდი სამუშაოები გაჩაღდა სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში მთაწმინდაზე. რემონტი უკეთდება საზაფხულო კინოთეატრს, ფიზკულტურულ მოედნებს, საატრაქციონო ნაგებობებს, მიმდინარეობს პარკის ბილიკებისა და ხეივნების გასუფთავება. შეკეთდება საცალფეხო ასასვლელი გზა, სწრაფი ტემპით წარმოებს გამწვანების სამუშაოები. ირგვება რამდენიმე ათეული ცალი კედარი, ფიჭვი, გაზონები დამშვენდება ხალიჩოვანი ყვავილებით.

საზაფხულო სეზონისათვის გაცხოველებით ემზადებიან ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში, რომელიც განსაკუთრებით უყვართ ბავშვებს, რადგან აქ მოწყობილია საბავშვო რკინიგზა. პარკში დაიწყო საზაფხულო კინოთეატრის, კარუსელის, სასპორტო მოედნებისა და სხვ. შეკეთება. წელს პარკს 4.200 ძირი დეკორაციული მცენარე შეემატება.

კეთილმოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს ლისის ტბაზე.

თბილისის პარკებისა და ბაღების კეთილმოწყობის სამუშაოებზე მილიონ ნახევარ მანეთზე მეტი დაიხარჯება.

## ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში

მრავალი სპეციალისტი იმაღლებს კვალიფიკაციას ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტში. აქ მეცადინეობენ არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში მომუშავე ექიმები, არამედ საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან ჩამოსულნიც. მსმენელთა შორის შეხვდებით ევპატორიიდან, ყირიმის ასს რესპუბლიკიდან, ჩუვაშეთიდან, ყაზახეთიდან, ტაჯიკეთიდან, მოლოტოვის ოლქიდან, ხარკოვიდან, ლატვიიდან და სხვა რესპუბლიკებიდან და ქალაქებიდან ჩამოსულ სპეციალისტებს. ამჟამად აქ სწავლობს მოძმე რესპუბლიკებიდან ჩამოსული 180 კაცი.

ინსტიტუტის პედაგოგები არიან პროფესორები, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმები. პრაქტიკული მეცადინეობა წარმოებს ქალაქის საავადმყოფოებსა და პოლიკლინიკებში.

ჩამოსული ექიმები უზრუნველყოფილი არიან ბინითა და სტიპენდიით. მათთვის ამ რამდენიმე ხნის წინათ ქალაქის პირველ საავადმყოფოსთან აშენდა საერთო საცხოვრებელი სახლი 120 საწოლით. ამჟამად დამთავრების პროცესშია და მალე საექსპლოატაციოდ გადაეცემა მეორე ასეთივე სახლი.

## ამინდი

თბილისის ამინდის ბიუროს ცნობით 26 და 27 მარტს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, სამხრეთ რაიონებში დროგამოშვებით ნალექი. აღმოსავლეთის ქარი 3-7 მეტრი წამში. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 3-8, დღისით 12-17 გრადუსი სითბო; მთიან რაიონებში ღამით 1-6, დღისით 7-12 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში — ცვალებადი მოღრუბლულობა, აღმოსავლეთ რაიონებში — ალაგ-ალაგ მცირე ნალექი, სამხრეთ აღმოსავლეთის ქარი 0-5 მეტრი წამში. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 2-7, დღისით 11-16 გრადუსი სითბო; მთიან რაიონებში ღამით 2 გრადუსი ყინვა — 3 გრადუსი სითბო, დღისით 5-10 გრადუსი სითბო.

რედაქტორი ნ. ჟაში.

## პენხულედაოს კუნძულები

(ცნობა)

კუნძულ ტაივანის რაიონში ამერიკელ აგრესორთა პროვოკაციებთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ტაივანის სრუტეში მდებარე კუნძულების ჯგუფი, რომელსაც დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. ეს არის პენხულედაოს კუნძულები, რომლებზეც ამერიკელ აგრესორებსა და ჩანკაიშელებს აგებული აქვთ აეროდრომი და სამხედრო-საზღვაო ბაზა.

პენხულედაოს კუნძულები ევროპელებისათვის ცნობილი გახდა მხოლოდ 1590 წელს, როდესაც პორტუგალიელმა ზღვაოსნებმა იაპონიისაკენ მიმავალი საზღვაო გზების ძებნის დროს აღმოაჩინეს დიდი კუნძული ტაივანი (ფორმოზა) და მის დასავლეთით მდებარე კუნძულების ჯგუფი. კუნძულებზე პორტუგალიელებმა ბევრი მეთევზე ნახეს და „პესკადორის“ ანუ „მეთევზეთა“ კუნძულები უწოდეს. 1622 წელს პენხულედაოს კუნძულების ოკუპაცია მოახდინეს ჰოლანდიელებმა, რომლებიც აქ კუნძულ იავადან (ინდონეზია) მოვიდნენ. მათ არქიპელაგის მთავარ კუნძულ პენხუზე ააგეს რამდენიმე ციხე-სიმაგრე. შემდეგ ჰოლანდიელები პენხულედაოს კუნძულებიდან ტაივანზე გადავიდნენ და მოახდინეს მისი ოკუპაცია. 1661 წელს ჩინელებმა კოლონიზატორები განდევნეს ტაივანიდან და პენხულედაოს კუნძულებიდან. 1895 წელს იაპონიამ ჩინეთს წაართვა ტაივანი და პენხულედაოს კუნძულები. ოკუპაცია ნახევარ საუკუნეს გრძელდებოდა. 1945 წელს ტაივანი და პენხულედაოს კუნძულები ჩინეთს დაუბრუნდა. მაგრამ 1949 წელს ჩინეთიდან განდევნილმა ჩანკაიშელთა ბანდებმა მოახდინეს პენხულედაოს კუნძულების ოკუპაცია.

გომინდანელები და ამერიკელი აგრესორები პენხულედაოს კუნძულებს დიდ სტრატეგიულ




მნიშვნელობას ანიჭებენ, როგორც ხიდს კონტინენტურ ჩინეთსა და ტაივანს შორის. ამერიკელების აზრით პენხულედაოს დაკარგვა ნიშნავს ტაივანის სანახევროდ დაკარგვას. ამიტომ კუნძულების გამაგრებას და იქ ბაზების მშენებლობას ამერიკელები დიდ ყურადღებას აქცევენ.

პენხულედაოს კუნძულები (იაპონურად ხორომუსირო-ძიმა, ევროპული სახელწოდებაა — პესკადორი) მდებარეობს ტაივანის სრუტეში და შედგება 44 დიდი და მცირე კუნძულისაგან, ხოლო მარჯნის კუნძულების ჩათვლით — 64 კუნძულისაგან. მათგან დასახლებულია მხოლოდ 21 კუნძული. კუნძულების საერთო ფართობი 127 კვადრატულ კილომეტრს უდრის, ყველაზე დიდი კუნძულია პენხუ (64 კვ. კმ.), რომელსაც ღრმა და საუკეთესო ნავსაყუდელები აქვს, იუვენი (18 კვ. კმ.), და ბაიშა (14 კვ. კმ.). კუნძულები ვულკანური წარმოშობისაა და მდიდარია ცხელი მინერალური წყლებით.

მოსახლეობის (ძირითადად ჩინელები) რაოდენობა დაახლოებით 80 ათას კაცს აღწევს. ერთ კვადრატულ კილომეტრზე 670-მდე მცხოვრები მოდის. ყველაზე მჭიდროდ დასახლებული პუნქტია ქალაქი მაკუ (მაგუნი), სადაც ოცი ათასამდე კაცი ცხოვრობს.

მოსახლეობის დიდი სიმჭიდროვის გამო მიწათმოქმედებისათვის ვარგისი ფართობი ძალიან მცირეა. თესავენ ბატატს (ტკბილი კარტოფილი), მიწის თხილს, მოჰყავთ ბოსტნეული. მოსახლეობის მთავარი საქმიანობაა მეთევზეობა, აგრეთვე ლოკოკინების, წყალმცენარეებისა და ზღვის ღრუბლის ჭერა. ამასთან მასდევენ ხმელი თევზითა და ზღვის ღრუბლით ვაჭრობას.

ჩინელი ხალხის მტკიცე გადაწყვეტილებაა გაათავისუფლოს პენხულედაოს კუნძულები, რაც გააადვილებს დიდი კუნძულის — ტაივანის განთავისუფლებას.


**თბილისის სახელმწიფო ცირკი**

25, 26 მარტს

**სასკოლო არდადეგების დღეებში**

დღის თითო საბავშვო წარმოდგენა

დასაწყისი 1 საათზე

ბილეთები იყიდება სახცირკის სალაროებში. მიიღება შეკვეთები სკოლებიდან და ორგანიზაციებიდან კოლექტიურ დასწრებაზე.

**კვირას, 27 მარტს**

დღის ორი საბავშვო წარმოდგენა

დასაწყისი I — 12 ს., II — 3 ს.

**დღეს თბილისის თეატრებში**

ოპერისა და ბალეტის — წითელი ყაყაჩო (დილის), აბესალომ და ეთერი (საღამოს), რუსთაველის სახელობის—ოთარაანთ ქვრივი (დილის), ესპანელი მღვდელი (საღამოს), მარჯანიშვილის სახელობის — მაია წყნეთელი (დილის), ლეგენდა სიყვარულზე (საღამოს), გრიბოედოვის სახელობის — მოგზაურობის წლები (დილის და საღამოს), სომხური დრამის — ძია ბაღდასარი, მუსიკალური კომედიის — სალხინობელი (დილის), ჩვენი ნაცნობები (საღამოს), მოზარდ მაყურებელთა ქართული — ეს მოხდა მოსკოვში (აბონემენტი № 23, 12 ს.), ბაში-აჩუკი (აბონემენტი № 41, 6 ს.), მოზარდ მაყურებელთა რუსული — პოლკის შვილი (11 ს.), დავვიანებული სიყვარული (6 ს.).

**კინოთეატრებში**

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, სპარტაკი, ისანი, პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები — ახალი მხატვრული ფილმი, თბილისი, კომკავშირელი, 26 კომისრის სახელობის — ზღვის მონადირე, კოლხიდა, ოფიცერთა სახლი — ვენის საყვარელი მსახიობი, დიდუბე — შიშის საფასური (I და II სერია), კოლმეურნე — ისინი ჩამოვიდნენ მთიდან.

**თბილისის სახელმწიფო ცირკი**

დღეს და ყოველდღე

მრავალფეროვანი დიდი საცირკო წარმოდგენა

„გასართობი დათვები“

მსახიობ ელვინა ელვორტის ხელმძღვანელობით.

დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

ბილეთები იყიდება სახცირკის სალაროებში, რუსთაველის პროსპ. №№ 1 და 24, პლეხანოვის პროსპ. № 97, ჩელიუსკინელების ქ. № 31.

მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.

ბავშვები 16 წლამდე საღამოს წარმოდგენებზე არ დაიშვებიან.


**დისერტაციების დაცვა**

**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი**

(ძერჟინსკის ქ. № 8)

1955 წ. 5-IV დღის 2 საათზე ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციებს დაიცავენ:

1. **მიხეილ ისიდორეს-ძე ბერძული**

თემაზე: „გლეხთა აჯანყებები შორაპნისა და ქუთაისის მაზრებში 1918 წელს“.

2. **ნიკოლოზ გიორგის-ძე ქანთარია**

თემაზე: „ქართველი მემამულის მეურნეობა XVIII საუკუნეში“.

დისერტაციების გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ძერჟინსკის ქ., № 8, II სართული) სამუშაო საათებში.

შვილები ლუბა, გიორგი, ნიკოლოზ, ზოია ოჯახებით იუწყებიან **ანა მათეს ასულ ჭავჭანიძე-ჭანტურიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 25-III, 8 ს. გამოსვენება 27-III, 4 ს. ალ. ჭავჭავაძის ქ. № 4.

შვილები ივანე, ვლადიმერ, კონსტანტინე ოჯახებით იუწყებიან **ანეტა კონსტანტინეს ასულ რევიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 27-III ქ. სამტრედიაში. გამოსვენება ბინიდან, კიროვის ქ. № 99.

მეუღლე ანასტასია, შვილები მარგალიტა, თამარ ოჯახებით იუწყებიან **გიორგი მაქსიმეს-ძე ჩხიკვიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 25, 26-III, 8 ს. გამოსვენება 27-III, 2 ს. პაპანინის ქ. № 13.

მეუღლე ელენე, შვილები ლეილა, ირაკლი ოჯახით იუწყებიან **ალექსანდრე ლუკას-ძე ხაჰაპურიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 25, 26-III, 8 ს. გამოსვენება 27-III, 3 ს. რეზერვუარის ქ. № 27.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს თბილისის სამშენებლო-სამონტაჟო კანტორის თანამშრომლები იუწყებიან **ზაქარია კონსტანტინეს-ძე გალუსტოვის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 25, 26-III, 8 ს. გამოსვენება 27-III, 3 ს. კახეთის შესახ. № 5.

ძმა გალაქტიონი და ელენე ოჯახით იუწყებიან **იოსებ სიმონის-ძე კუჭუხიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 27-III ქუთაისში. გამოსვენება ბინიდან, ორჯონიკიძის ქ. № 27.

დედა პოლია, მეუღლე ანიკო, შვილები მაყვალა, ლილი, ჯემალ იუწყებიან **მიხეილ ელიზბარის-ძე ქამუშაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 27-III სოფელ ქორეთში (საჩხერის რაიონი).

მეუღლე გოგუცა, შვილები მარგალიტა, ვენერა, აბესალომ ოჯახებით იუწყებიან **ექვთიმე პეტრეს-ძე ჯოჯუას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 27-III სოფელ ქოლობანში (აბაშის რაიონი).

ცეკავშირის უნივერსალური სავაჭრო ბაზის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან **მიხეილ თადეოზის-ძე კემულარიას** გარდაცვალებას.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების—3-51-81, გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77-70.

უე 00358 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.